



IX წ.

საქართველოზე გაზეთი.

IX წ.

№ 20.

კვირა, 13 მაისი 1901 წელსა.

№ 20.

**გაზეთის ღირებულება:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო წომერი—სამი შაური.

**ხელახლა-მეორე მისაღებად:** თფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, და „ქველის“ რედაქციაში, საპიორის ქ., № 15.

**ტელეფონი № 734.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

**შინაარსი.** მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—პეტერბურგიდან დეპეშით იტყობინებიან.—„მეკონდრაბანდე“.—საზღვარ-გარეთ.—წერილი ბელგიიდან.—ლექსი.—ეფემიას ოცნება.—თფილ. თავ.-აზნ. საგანგებო კრება.—ქართული საერო პოეზია.—შეცდომის გასწორება.—განცხადებანი.

### მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.

#### IV. რუსეთის მოღვაწენი.

##### 2. გერცენი.

სპერანსკის დაცემა მოასწავებდა რუსეთის განმანახლებელ რეფორმების შეჩერებას. რეაქცია ისეთი ძლიერი იყო, რომ დაწყებული რეფორმების გაგრძელება ახლო მომავალში მაინც შეუძლებელი გახდა. ამისათვის რეფორმატორული მოძრაობა მმართველთა შორის განქრა. სამაგიეროთ ის დაიწყო მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის. საჭირო შეიქმნა ჯერ საზოგადოების მომზადება, ახალი აზრების გავრცელება, ძველ შეხედულებებთან შებრძოლება და ყველა ეს შემდეგ თავის-თავათ გამოიწვევდა შესაფერ რეფორმებს. ამ ნაირათ, დაიბადა ორი პარტია: პარტია ახალი რუსეთის და პარტია ძველი რუსეთის. პირველთ დაერქვა „ზაპადნიკები“, ანუ



დასავლეთის მოყვარულნი, ხოლო მეორეთ სლავიანოფილები, ანუ სლავიანთა მოყვარულნი. პირველმა მიმდინარეობამ ასპარეზზე გამოიწვია შესანიშნავი პუბლიცისტები, პოეტები, ბელეტრისტები, კრიტიკოსები და სხ. ამათ შორის საპატიო ალფი უჭირავს გერცენს. ალექსანდრეივანეს ძე გერცენი, შვილი შეძლებული მებატონისა, დაიბადა 1812 წ. ქ. მოსკოვში. სწავლა პირველათ მიიღო შინ, ნემეც და ფრანგ აღმზრდელთა ხელმძღვანელობით და შემდეგ, 18 წლ. ჰაბუკი თავის ამხანაგ თგარეგთან ერთათ შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში. ამ დროს უნივერსიტეტში არსებობდა სხვა-და-სხვა წრეები და მათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო სტანკევიჩის წრე. გერცე-

ნი მოჰყვა ამ წრეში, მაგრამ მისმა მეტის მეტ ფილოსოფიურ მიმართულებამ ვერ დააკმაყოფილა ახალგაზდა სტუდენტი. მას სწყუროდა უფრო პრაქტიკულ კითხვების შესწავლა და გადაწყვეტა და ამ მიზნით მან თვითონ დააარსა მეორე წრე—წრე პოლიტიკური. აქ განსაკუთრებით დიდი ალავი დაიჭირა სენსიზმონის მოძღვრებამ. მაშინ, როდესაც სტანკევიჩი მის ამხანაგთ, სახელოვან ბელინსკის და სხვებს შილერს და გიოტეს უკითხავდა, გერცენს სენსიზმონი ეკავა ხელში და თავის ამხანაგთ პოლიტიკურ და სოციალურ კითხვებს უხსნიდა. ამ სწავლაში და მეცადინეობაში გაირბინა რამდენიმე წელიწადი. 1833 წ. მან გაათავა უნივერსიტეტი (მატემატიკური ფაკულტეტი, რაც მას ყოველთვის სძულდა) და ოგარევთან ერთად განაგრძო თვით-განვითარება... 1834 წ. ის გაგზავნეს პერმში საცხოვრებლათ. იქიდან გადაიყვანეს ვიატკაში, საიდანაც ის თანამშრომლობდა ჟურნალ „ტელესკოპში“ ისკანდერის პსევდონიმით. 1840 წ. მას ნება მისცეს მოსკოვში დაბრუნების; აქ იყო ოგარევი თავისი ახალი წრით, ბელინსკის მეთაურობით, სადაც ერთიანად ბატონობდა ჰეგელის ფილოსოფია. ამათ სიამოვნებით მიიღეს გერცენი თავის წრეში. გერცენი ენერგიულათ შეუდგა ჰეგელის შესწავლას და კიდევაც შეითვისა იგი. „რა-კი ჰეგელის ენას შევეჩვიე და ვსძლიე მის მეთოდს, ამბობს გერცენი, შევნიშნე, რომ ეს უფრო უახლოვდება ჩვენს შეხედულობას, ვინემ შეხედულობას თავის მიმდევართა... ჰეგელის ფილოსოფია წინსვლელობის აღგებრაა, ის საუცხოვოთ ათავისუფლებს ადამიანს და ქვა-ქვაზედაც არ სტოვებს ძველი გადმოცემებიდან. მაგრამ შეიძლება მისი ფილოსოფია განზრახ იყოს ცუდათ ანუხსულიო“.

1841 წ. გერცენი გაგზავნეს ნოვგოროდში გუბერნიის სამმართველოს მოხელეთ. აქ გერცენმა დაახლოვებით გაიცნო ბატონ-ყმობა და, როგორც მოხელე, ხშირათ გამოდიოდა ყმების დამცველათ ბატონების წინააღმდეგ. ერთხელ, ამბობს ის, სამმართველოში შემოვიდა მტირალე დედა, დაიბოქა ჩემს წინ და მეხვეწებოდა, ნება მიმეცა თან წაეყვანა შვილი მას და მის ქმარს, რომელნიც ბატონის ბრძანებით შორს უნდა გადასახლებულიყვნენ. ამ დროს შემოვიდა გუბერნატორი, მე ქალს ვუთხარი, ეს აი ამის საქმეა და გადავეცი გუბერნატორს ქალის თხოვნა. გუბერნატორმა გადაჭრით უთხრა, ბავშვი ათი წლის და მეტის რჩება მებატონესთანო. ქალი კიდევ უფრო ატოკდა, აღრიალდა, გუბერნატორი გაუჯავრდა და თავისთვის წავიდა. „მეც წავედი... მეტი აღარ შემეძლო... განა ის ქალი არ მიმიღებდა ერთ იმათგანათ? დროა გათავდეს კომედია... იმავე დღეს ავითმყოფობა მოვიმიზნე და სახლში წავედი. იმ დღიდან ჩემი ფეხი აღარ ყოფილა გუბერნიის სამმართველოში“.

1842 წ. ის გადმოვიდა ისევ მოსკოვში. ოგარევი იქ არ იყო, მაგრამ სამაგიეროთ აქ ქუხდა გრანოვსკი, რომელიც უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს დასავლეთ ევროპის ისტორიის შესახებ. გრანოვსკიმ პირველათ დააყენა ოფიციალურ კათედრიდან ევროპა რუსეთზე მაღლა და იქადაგა მასთან დაახლოვება და გავერობილება. გრანოვსკი, რასაკვირველია, უცებ მოიქცა „ზაპანდნიკების“ სათავეში და გერცენიც მას დაუმეგობრდა.

გრანოვსკიმ დიდი გავლენა იქონია გერცენზე. „სლოვიანოფილთა შეცდომა, ამბობს გერცენი,

მდგომარეობს იმაში, რომ იმათ ეგონათ, ვითომ რუსეთს როდესაც ჰქონია მისი საკუთარი განვითარება, რომელიც შემდეგ დაჩრდილა სხვა-და-სხვა გარემოებებმა და ბოლოს პეტერბურგის ხანამ (პეტრე დიდმა). ნამდვილათ-კი რუსეთს არასოდეს არ ჰქონებია ასეთი განვითარება და არც შეეძლო ჰქონებოდა. ყოველივე ის, რასაც ახლა ვიგნებთ, რაც იბადება აზრში და გრძნობაში, რაც იმყოფებოდა შეუფერებლათ გლეხის ქოხში და მინდორში—ყველა ეს მხოლოთ ახლა ამოდის და ხარობს, განოყიერებულ სისხლით, ცრემლით და მღელვარებით ოცი თაობის... ყველა ეს ჩვენი საფუძველია, რაიცა სახელმწიფოს სიმძიმის ქვეშ მხოლოთ შეინახა, მაგრამ არ განვითარდა. და განა გვექნებოდა საკუთარი შინაგანი ძალა მათ გასავითარებლათ ისე, რომ ევროპის განათლების ხანა არ მოგვეწოდებოდა? პირდაპირ საფუძველნი კიდევ არ კმა-რა... ერთათ ერთი დასავლეთის ძლიერი აზრი, რომელსაც ემხრობა მთელი მისი ისტორია, შესძლებს გაანაყოფიეროს ის თესლი, რომელიც მიღებული და მძინარეა სლავიანთა ისტორიის პატრიარქალურ ყოფა-ცხოვრებაში...“

გერცენი სამუდამოთ გადავიდა „ზაპანდნიკებისაკენ“ და მიეცა მწერლობას. ის ახლა აღარ კმაყოფილდებოდა რუსეთით და ილტვოდა იქით, საიდანაც მოელოდა რუსეთის განახლებას. როგორც იყო, მოახერხა პასპორტის აღება და 1847 წ. გაემგზავრა ევროპაში. ჩავიდა პარიჟში, გადავიდა იტალიაში, სადაც ამ დროს რევოლიუცია ატყუდა. შემდეგ დაბრუნდა პარიჟში. იქ დაესწრო თებერვლის რევოლიუციას, რესპუბლიკის გამოცხადებას. მერე იენისის რევოლიუციას, მუშა ხალხის დამარცხებას... ერთი სიტყვით, თავის თვალთ ნახა პოლიტიკური და სოციალური რევოლიუციები და ყველა ამან ღრმა ცვლილება მოახდინა მასში. ის მიემხრო ბურჟუაზიას მონარქიასთან ბრძოლაში და მუშა-ხალხს ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. იენისის მოჰყვა დიდი რეაქცია მთელ ევროპაში. ყველა ქვეყნებიდან დევნილი რევოლიუციონერები მირბოდნენ თავისუფალ ჟენევაში. აქ გადავიდა გერცენი, სადაც მან გაიცნო სახელოვანი მაძინი. ამ დროს დასწერა მან წიგნი „Съ того берега“—„მეორე მხრიდან“—სადაც შეეხო იენისის რევოლიუციას და ის დაახსიათა, როგორც სოციალური ბრძოლა. ამიერიდან ევროპაში არ არსებობს პოლიტიკური კითხვა, არის მხოლოთ კითხვა სოციალურიო—თქვა მან. მაგრამ ამ კითხვის ევროპის მიერ გადაჭრაში ეჭვი დაებადა. ის თანდათან გაუგულგრილდა ევროპას, რომელიც ამდენ სისხლს ღვრის და წინ მაინც ვერ მიდის და ისევ რუსეთს მიაპყრო ყურადღება. სოციალურ კითხვას ისევ რუსეთი გადაჭრის თავისი მიწის საზოგადო მფლობელობის (община) საშუალებითო.

ამ დროს ის გადავიდა ლონდონში და 1856 წ. ოგარევთან ერთათ დააარსა რუსული გაზეთი „ზარა“ („Колоколъ“). გაზეთის პროგრამა მოკლე იყო: რუსეთის გლეხ-კაცობას განთავისუფლება მაწათ. გაზეთმა ჩქარა გაითქვა სახელი მთელ რუსეთში, სადაც ბატონყმობის გაუქმების აზრი უკვე მომწიფებული იყო, მაგრამ აშკარათ მისი თქმა ვერავის ვერ გაგებდნა. „ზარა“ გავრცელდა რუსეთის თითქმის ყველა წრეში; მთავრობა დიდად აღარ სდევნიდა მას. გერცენი თხოულობდა აგრეთვე მიწის საერთო მფლობელობის დაცვას, რომლის



წყალობით ის ფიქრობდა განთავისუფლებული ხალხის წინ წაწევას. გლეხობის განთავისუფლება მოხდა 1861 წელს, მაგრამ უმიწოთ-კი. 1864 წელს გერცენი გადმოსახლდა ქენევაში, სადაც ის სცემდა „ზარას“ და აგრეთვე „პოლიარულ ვარსკვლავს“ — „Полярная звезда“. ამ დროს ქენევა აივსო რუსეთის ახალი ემიგრანტებით, რომელნიც სრულიათ ახალ რამეებს თხოულობდნენ და გერცენს „ატსტავენოი რევოლიუციონერს“ უწოდებდნენ. გარდაიცვალა 1870 წ. პარიჟში და, თანახმად მისი სურვილისა, დასაფლავეს ნიცაში.

შინაური მიმოხილვა.

დღმართს დაღმართი მოყვებოა ნათქვამია და ამავე თქმულებას ემორჩილება მრეწველობაც. ბაქოს ნავთის წარმოება უკანასკნელ 4—5 წელიწადს ისე გაიზარდა და აღფრთოვანდა, რომ მას ძალა-უნებურათ დავარდნა და დამწვინდება უნდა მოყოლოდა. და აი, ეს ერთი თვეა უკვე გაისმის: ნავთის კრიზისია! ე. ი. ნავთის ფასი დაცა მსოფლიო ბაზარზე, წინანდელივით დიდი მოთხოვნილება არ არის და სხ. ასეთი მდგომარეობა ყველაზე უფრო სატირელი და თავში საცემი მუშებისათვის არის, თვით მრეწველთ რა უჭირთ, კარგ დღეში მოგებული მილიონებით „ცულ დღეშია“ იოლათ წავლენ, ხოლო მუშები-კი წარმოების შემცირების გამო სრულიად უსაქმოდ და ულუკმოდ რჩებიან. ბაქოს ნავთის მუშები ამ ჟამათ დიდ გაჭირვებაშია. მათ დახმარებაზე ლაპარაკობს ბევრი, ათასნაირ პროექტს ასაღებენ გაზეთების ფურცლებზე, მაგრამ არც ერთს ისეთი ნამდვილი გზა არ მიუგნია, როგორც ბაქოს ხელოსანთა კრებას მიუგნია და კიდევაც შესაფერი გადაწყვეტილება დაუდგენია. ისინი თხოულობენ, რომ პატრონებმა ერთ კვირას ამუშაოს მუშათა ერთი რიგი, მეორე კვირას-კი მეორე რიგიო. ამით, მართალია, მუდმივ მუშებს დააკლდება შემოსავალი, მაგრამ უსაქმოდ დარჩენილნიც იშოვიან სამუშაოს და ასე, ჭირს ძმურათ შუაზე გაიყოფნო. და მართლაც, მუშათა ხელის შემცირება განსაკუთრებით იქიდან წარმოსდგება, რომ ორი კაცის საქმეს ერთი აკეთებს, ამ ერთს დღე და ღამე არ სძინავს და მით მეორე კაცის დაქირავებას მეტათ ხდის. თვითეულმა რომ აკეთოს ის, რამდენსაც ის აიტანს, მაშინ სამუშაო ბევრს გასწვდება და უსაქმოდ დარჩენილ მუშათა რიცხვი შემცირდება. ბაქოს ხელოსანთა კრება ამ გზაზე დამდგარა, საჭიროა მხოლოდ ეს შეინგნოს დანარჩენმა მუშებმაც.

\* \*

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობაც შეუდგა მზადებას მომავალი იუბილეს დღესასწაულის გადასახდელათ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობასთან ერთათ. დამაბრკოლებელი მიზეზი მხოლოდ უფულობაა. ყოველივე საქმეს ფული სჭირია და განსაკუთრებით სადღესასწაულო ჭეიფს და მოღხენას. და აი, თავად-აზნაურნი დაფაცურდნენ ფულის საშოვნელათ. მიმართეს ქ. ქუთაისის, მოგვეცი რამეო; ქალაქმა-კი უარი უთხრა, არა გვაქვსო, რითაც ძლიერ გააჯავრა ბათომის რუსული გაზეთი და ერთი-ორი „დანოსსავით“ დააწერინა. სამაგიეროდ დიდი ხელ-გაშლილობა გამოიჩინა ქიათურის მრეწველთა

საბჭომ და მომავალ დღესასწაულისათვის ათასი მანეთი გადასდო. მრეწველთა შარშანდელ კრებაზე საბჭომ თავი გავაცნო, როგორც ხელ-მომჭირნე დაწესებულებამ, ისეთმა ხელ-მომჭირნემ, რომ აკაკისათვის ფულის მიცემის შესახებ შემოტანილი მრეწველთა განცხადება-კი დამალა და კრებას თავისი ნებით არ მოახსენა. ეს ალბათ იმიტომ, რომ ფულის გაღება ენანებოდა. მას შემდეგ, როგორც ჩანს, შეუცვლია თავისი „საფინანსო პოლიტიკა“ და ისევ გულ-უხვობის და „სტუმართ-მოყვარეობის“ მოტრფიალეთ შექმნილა. მართალია, მოდღესასწაულე თავად-აზნაურობას ასი თუმანი არას უზამს, მაგრამ რაკი შავიქვის მრეწველთა საბჭომ მოწონების ნიშანი გამოსცა, მას სხვებიც მიბაძავენ, მით უფრო, რომ ქუთათური „მოწინავე პირები“ ბევრ საქმეებში იმავე საბჭოს მეთაურებისაგან ღებულობენ ბრძანებებს. საბჭოს თავმჯდომარეს, ბ. ზდანოვიჩს ქალაქის თავობაც რომ ჩაებარებია, უეჭველია ქიათურელთა პირველ ათას მანეთს ქუთაისის მეორე ათასსაც მიაყოლებდა და საქმეც გაიჩარხებოდა...

\* \*

რალაც არეულ-დარეულობა ეტყობა გურიის „შუამავალსაც“. ძალდი პატრონს ვერა სცნობსო—რომ იტყვიან—აქ უნდა იყოს. გამგეობა და სარევიზიო კომისია ერთმანერთს შეჯიბრებია და ახირებულ საქმეებს ახდენენ. აბა გასინჯეთ—ერთ და იმავე დღეს (9 მაისს) ორივე ნიშნავს ამხანაგობის საზოგადო კრებას, ერთი დილის 9 საათზე, მეორე 11 საათზე; კრების საგნათ ორივე სხვა-და-სხვა კითხვებს აყენებს და ახლა აღარ იცის კაცმა, რომელი კითხვა და რომელი კრება უფრო კანონიერია. გარდა ამისა, გამგეობა პირველათ იწვევს კრებას და, მაშასადამე, წევრთა კანონიერი რიცხვი თუ არ დაესწრო, კრება უნდა გადაიდვას, ხოლო სარევიზიო კომისიისათვის-კი ეს მეორეთ მოწვეული კრებაა (პირველი 25 აპრილს არ შესდგა) და, მაშასადამე, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს—სხდომა მოხდება. ამ მოდავეთა შორის რომელია მართალი? წესდებით ორივეს უფლება აქვს იმის, რასაც შერებიან, მაგრამ საქმისთვის-კი სასარგებლოა ასეთი არეულ-დარეულობა? მაინც საკვირველია ჩვენი ამბები! ზოგი ამხანაგობა ერთ წელიწადში კი არა და ოთხ წელიწადშიაც არ ნიშნავს კრებას, ზოგი-კი კრებებს პანტასავით გვაყრის და ველარ გაგვიგია, როდის რომელ კრებაზე წავიდეთ...

სხვა-და-სხვა ამბები.

თფილისის გუბერნატორმა წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს თფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილება, რომლითაც საბჭოს დადგენილება საქალაქო არჩევნების ერთ კრებაზე მოხდენის შესახებ უცვნია საკრებულოს მცხოვრებთა ინტერესების შეუფერებლათ.

თბილისის ქალაქის სკოლების მასწავლებლებმა გადასწყვიტეს წარუდგინონ ქალაქის საბჭოს, რომ მასწავლებლთათვის საპენსიო ვადა შემოღებულ იქმნას 25 წლის მაგიერ 20 წ.

როგორც „ბირჟ. ველომ.“ იუწყება, ჩვენებური მარ-

განეცი თანდათან ფართო ბაზარსა პოულობს გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

წარსულ კვირას ზესტაფონის თეატრს ცეცხლი წაჰკიდებია და სულ გადამწვარა.

შემოდგომაზე გზათა სამინისტრო შეუდგება განხილვას რკინის გზის ყველა მოსამსახურეთათვის სახელმწიფო უფლებათა მინიჭების საქმისას. ამ საგნის შესახებ უკვე შეუდგენიათ პროექტი.

ამიერ-კავკასიაში რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის ადგილების დასამზადებლათ დაარსებულთა ორი პარტია; ერთი პარტია მიდის ერევნის გუბერნიაში ქუროთების გადასახლების შემდეგ დარჩენილ ადგილების მოსამზადებლათ ხსენებულ ხიზნებისათვის; მეორე პარტია მიდის ბაქოს გუბერნიაში და დაღესტნის ოლქში; აქ 7000 დესეტინა მიწა უნდა დაუმზადონ რუსეთიდან მოსულებს.

გზათა მინისტრს გადაუწყვეტია გააკეთოს და გაფართოვოს პროგრამა რკინის გზის სასწავლებლებისა. ასე, რომ ამ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთ ნება ექნებათ არა თუ მაშინისტობისა, არამედ შეუძლიათ იყვნენ საკომერციო განყოფილების აგენტებათაც.

ნ. ჟორდანიას „ქართული პრესა“, რომელიც შარშან „კვალში“ იბეჭდებოდა და მერე ცალკე წიგნაკადაც გამოვიდა, გადაუთარგმნია სომხურ ენაზედ და დაუწყვიათ ბეჭდვა ჟურნალ „მურჭში“. პირველი ნაწილი უკვე გამოვიდა აპრილის ნომერში.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა სამთო მრეწველობის მუშების დაზღვევის წესდება, რომელიც შეიმუშავეს ბაქოსა და სამხრეთ-რუსეთის სამადნო მრეწველების წარმომადგენლებმა. კომისიას, სხვათა შორის, გადაუწყვეტია, რომ დამზღვევ კასებში მონაწილეობა მიიღონ როგორც მრეწველებმა, ისე მუშებმა; ეს დადგენილება სავალდებულო იქნება ორივე მხრისთვის. პროექტი მალე წარედგინება სახელმწიფო საბჭოს.

ამ თვის ბოლოს თფილისის ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტი მოიწვევს იმ პირთ, რომელთაც განუზრახავთ მიიღონ მონაწილეობა თფილისის ნოქრების საერთოერთო დახმარების საზოგადოების დაარსებაში. ამ დღიდან დაიწყება საზოგადოების მოქმედებაც.

როგორც უკვე ნაუწყები გვქონდა, ბაზარზე ნავთის გაიფებამ ბაქო-ბალახანის მრეწველთა შორის საშინელი კრიზისი გამოიწვია. ამის შედეგი იყო ის, რომ მრავალი მუშა ხელი დარჩა უსაქმოთ და ულუკმა-პუროთ. მიუხედავად იმისა, რომ იქაური საზოგადოება სცდილობს რაც შეიძლება შეამციროს ბაქოში უსაქმოთ დარჩენილი მუშათა რიცხვი და გემებით მუქათათ ისტუმრებენ მათ სამშობლო მხარეებში, მაინც ბაქოს ქუჩებზე კიდევ მრავალი დადის ხელ გაწვდილი და მოწყალეობას თხოულობს. ამიტომ 29 აპრილს, როგორც ვკითხულობთ გაზ. „კასპში“, მოხდა ბაქოში ხელოსან მუშათა კრება. კრების საგანი იყო ზემოხსენებული გარემოება. კრებაზე გამოირკვა,

რომ უსაქმოთ დარჩენილი მუშათა რიცხვი 5000-მდეა. მათი მდგომარეობა დაუყონებლივ დახმარებას თხოულობს. კრებამ დაადგინა დაეხმარონ უსაქმოთ დარჩენილ ხელოსნებს ფულის მოკრებით, ხოლო უბრალო მუშები, რომელნიც კვლავ განაგრძობენ მუშაობას, უნდა სთხოვონ ქარხნების მოურავებს, რომ მუშები ქარხნებში ჯერით ამუშავონ ე. ი. ერთი კვირა რომ ერთნი იმუშავებენ, მეორე კვირას მათ ამხანაგები შესცვლიან. და ასე და ამ გვართ თითქმის ყველა მუშას მიეცემა ცოტა რამ შეღავათი, რომ ასცდეს სიმშობით სიკვდილს. რამდენათ მიადწვევენ მიზანს, ამას შემდეგი გვიჩვენებს.

კ მ რ მ ს კ მ ნ დ მ ნ ს ი მ მ ი .

ბ. ბათოძე. ნ მათს ქაქუჩ ქართულ საზოგადოებას კრება კრება ქანდა, ბათომში მუდმივ ქართული სტენის დაარსების შესახებ.

სადამის ექვს საათზე საზოგადოებამ თავი მოიყარა ქართული სკოლის სადგომში, დასხდენ სკამზე და სამარისებური სიჩუქე ჩამოვარდა. ერთმა ორმა ზირმა სთხოვეს ინიციატორს კრების გახსნა, მარა, თითქმის არ გაუკონათათ, არავინ არ დაარღვია სიჩუქე. ბოლოს ადგა ერთი და სთქვა: „ეს ოთახი უხერხულია კრებისათვის და მეორე ოთახში გადავიდეთ“. ეს მუდრეების დასარღვევათ იყო სათქვამი, თორემ ოთახი უფკლებით ვარკვი იყო. საზოგადოება დაეთანხმა ამ ზირის აზრს და მეორე ოთახში გადავიდა, ბევრმა ამ სტენის მხსველმა სიცილი ვერ მოიკავა და ფსუტუნი დაიწყო. გადავიდნენ თუ არა მეორე ოთახში, მართლა უგელას თამამობა დაეტოვა და რამდენიმემ ერთათ მდინდამა სიტყვის თქმა. ადგა ბ-ნი კ—ლი და განუმარტა საზოგადოებას კრების მიზანი, მარა საზოგადოებამ აქედან ვერ გაიგო თუ რისთვის მოიწვიეს ის. მერე ადგა ამ საქმის ინიციატორი ბ-ნი კლანდარშიველი იმ აზრით, რომ საზოგადოებისთვის ახსნა კრების დანიშნულება და მიზანი, მაგრამ ამანაც ვერა გააკეთა რა საზოგადოებას.—საკვირველია ჩვენი მეთაურების საქმე! საზოგადოებას იწვევენ საქმის გასარჩევან და თითონ კი არ იციან თუ რისთვის მოიწვიეს ან რა სურთ. უგელას საქმეს მომხსალება უნდა, თორემ ისე უშრამლათ არაფერი გაკეთდება.—ამ უხერხულ მდგომარეობიდან გამომიყვანა საზოგადოება ბ-ნი კ. თავართქილაძემ: „ბ.ბ. აქ უნდა შესდგეს დასი!..“ დასიღს გაკანებამ ჩვენს ბურჯებს თავ-ზარი დასცა, ეგონათ შესამე დასისებური რამ ხომ არა სურთ დაარსება და ზრატესტი განაცხადეს: „არ გვინდა დასიო“...

შემდეგ ბევრი ილაპარაკეს. ზოგმა სთქვა: ღარიბი ვართ ქართულები და სტენას ვერ შევინახავთ, ზოგმა ნიადავი არ არის და სხვ. ერთმა ჩვენმა ბელადთაგანმა სთქვა: „ბათომში ქართულები ცოტანი არიან, თუცტში არავინ არ მფავ და ისე საზოგადოება რომ შესდგეს, ტუილათ ხარჯს ვნახავთ და სტენას ვერ იხეირებს, მოწყალების გაცემამ-კი თავი მომამუხრავ“. ერთი სიტყვით, უგელა გულ-გრძლიათ მფებრე ამ სასარგებლო საქმეს. გარეშე მფურებელს ეგონებოდა, ესენი ჩინეთის თუცტრზე ღანარაკობენ და არა ქართულსეო. უგელა სადაც მიიჩქაროდა, ზოგმა მათგანმა საუკუდურცი-კი განუცხადეს თავმჯდომარეს: „კრება ნამეტანი გაჭიანურდა“. ნამდვილათ-კი კრება სულ საათ-ნახევარს გაგრძელდა.

ზირის დასამშვენებლათ ვიდაცამ დაიძახა: დრეებით კომიტეტი ამფიარჩიოთ, რომ საქმე დაწვრილებით განიხილოს. ამ სიტყვების გაკანებაზე ერთ ხმათ იგრიადეს: „კომიტეტი,



კომიტეტი“ და აქედ დიდი გულგრილობა გამოიჩინეს არჩევნების დროს. როცა თავმჯდომარემ ჭკობის საზოგადოებას, ვინ გსურთ კომიტეტის წევრებათა, უმასუხეს: ვინც გსურთ, ის იყუროს და ამით დასრულდა კრება.

უცხო ვინმე.

**წარჩევანის საზოგადოება.** (შორაზნის მხრის). ზირველათ რომ მამასახლისობა შემოვიდა სოფლებში, ჩვენმა საზოგადოებამ ამოიჩინა მამასახლისათ იობაშვილი მარკოზა, რომელსაც ხალხი „დიდ იობას“ უძახდა უთუოთ მიტომ, რომ კარგი საქმეები ახსოვდა ამ კაცისგან საზოგადოებას. სხვათა შორის, ეს კაცი ბევრჯერ შევიდა სოფელ საზოგადოებას და ელაპარაკებოდა, რომ მოეგრავებოდათ სათითაოთ სიმინდი და გაეხსნათ საზოგადო ბედი, საიდანც უნდა ესარგებლა ყველას სიმინდით, რომელიც მოსავლის შემდეგ შესაფერი სარგებლით ისევ სიმინდით უბრუნდებოდა „ბედელს“. საზოგადოებამ შეისმინა ეს კეთილი აზრი და შემდეგ სოფლებში ზოგმა კოდი სიმინდი გამოიღო, ზოგმა თრი, ზოგმა სამი და ასე რამდენიც ვის შეეძლო. ეს სოფლები იყვენ: 1) წარჩევანი, 2) ზოდი, 3) ღვიშვი, 4) დარეუთი და ჭალუანი.

როგორც მოსალოდნელიც იყო, შეკრავილი სიმინდით ბევრმა ისარგებლა, მაგრამ წლის ბოლოსკი ბევრმა არ დაუბრუნა სოფელს სიმინდი. ამიტომ ინივლეს „მირაფი ეოსრედნიკთან“ თავ. ანუზდისტი მხაბულთან, რომელმაც ერთხელ შეყარა საზოგადოება და უჩინა ამოერჩიათ სამი კეთილ-სინდისიანი კაცი და თანაც შეძლებულია, რომელთაც უნდა მიეღოთ თავის თავზე ამ საქმის მოწყობა და გაფანტული სიმინდის შეკრავება. ასეთ კაცებათ აირჩიეს: როსტომი მირაფი, დანით ღუღუნიშვილი და ლახარე იობაშვილი, რომელთაც აწერეს თუ რამდენი კოდი სიმინდი იყო გასესხებული და სულ შედგა ათასი კოდი, მაგრამ რადგან მესხებლებმა ფულის გადახდა ირჩიეს, ამიტომ კოდზე გადახდევინეს 1 მ. 20 კან. და აღებული ფულებსაც ისევ გასესხება დაუწევს, წელიწადში თუმანზე თანხის ახდევინებდნენ. ასე ამ ხანრათ თუთხმეტი წლის განმავლობაში ასარგებლეს ეს ფული ამ სამმა კაცმა, რომლებსაც ანგარიშს მდ. ალექსი ჯაფარიძე ართმევდა. ბოლოს ამ კაცებმა უარი განაცხადეს აღარ შეგვიძლია მოგაროთ ამ საქმეს. მოვიდა კიდევ ბ. „მირაფი ეოსრედნიკი“ თავ. მხაბული, შეყარა საზოგადოება და უთხრა: რაც ფულია, შეკრიბეთ, მომეცით მე და მერმე ვიშემდგომლებ, რომ მთავრობამ შემხსველ-გამსესხებელი კასის განხის ნება მოგვცეს, ასე შეგვიძლია ბანკი და ვაწარმოთ და თუ ეს არ გვეყოფა, კიდევ მიუბატოთ. საზოგადოება დაეთანხმა და ითხოვა ერთი წლის ვადა ფულების შესაგროვებათ და ბ. მხაბულს მადლობაც უთხრეს. ფულები ისევ ამ სამმა კაცმა შეკრავა და, როგორც მხსნავს, ათას მანეთზე მეტი გადასცეს ბატონ მხაბულს, დანარჩენი ფულების ვექსილიებიც, რომლის აღებაც ვერ მოასწრეს, ისიც მას გადასცეს. მას შემდეგ გავიდა 3-4 წელიწადი, მაგრამ ვერსად ვერაფერი ჯერ ვერ გავიკეთ. ეხლა-კი, ხურას უკაცრავათ და: ვთხოვ იმ სამ კაცს მირაფიძეს, იობაშვილს და ღუღუნიშვილს, მდ. ალექსი ჯაფარიძეს და თავ. ანუზდისტი მხაბულს, შეგვტოვებინ გაზეთის საშუალებით, რადგან ზირვლათ არ სურსთ, გაგვტოვებინ შემდეგ: 1) რა ისარგებლა იმ ათას კოდში აღებული ექვსი ათასის ანგარიშზე 1200 მანეთმა ფულმა 15 წლის განმავლობაში?, 2) არის აღებული თუ არა ხებართვა კასის შესახებ?, 3) სად არის დღეს ან ეს ფულები, ან ვექსილები და ან რა ნაი-

რათ შეიძლება, რომ საზოგადოებას დაუბრუნდეს ისევ, რომ მამასახლისობა განაგოს ეს საქმე?.

უმორჩილესთ ვთხოვთ სხვა გაზეთებს, გადაბუკდონ ეს ჩემი წინადადება.

შავ-ქვაში მომუშავე.

**რუსეთის სხომრძობა.**

საერთო განათლების სამინისტროს მიუმართავს სამოსწავლო დაწესებულების მხარეებისთვის და სასწავლებელთა უფროსებისთვის უმადლეს სასწავლებლების მოსალოდნელ რეფორმის შესახებ და ითხოვლობს მათგან წარუდგინონ მას აზრი შესახებ ზრდიერობათა კოლეჯის, თეორეტიკულ და პრაქტიკულ მეცადინეობისა და მოსწავლეთა ორგანიზაციისა. ზოგიერთი ფაქტორები სამინისტროს ამ წინადადების მოსვლამდე შეუდგენ დაწვრილებით შემუშავებას იმ დედა-აზრებისა, რომელნიც, როგორც სხანს, უნდა დაეყენ საფუძვლით მომავალ რეფორმას. ეს დედა-აზრებია—აკადემიური დამოუკიდებლობა ანუ თავისუფლება, ზრდიერობის კონსერვაცია, ზრდიერობისა და სტუდენტების საერთოერთო გავლენა და სტუდენტების იმ ორგანიზაციების ნება-დათვა, რომელთა მიზანი იქნება სტუდენტების საჭიროებათა კომპლექსი, საამხანაგო დახმარება („კასები“) და საამხანაგო სასამართლო. საშუალო სკოლის რეფორმისთვის ჯერ ხელი არ მიუყვიათ, მაგრამ ზრდიერობი და მასალა მოსდის სამინისტროს რუსეთის ყოველ კუთხიდან.

— მთა-მადნის დეპარტამენტთან შედგა განსაკუთრებული საბჭო განსახილველათ ბაქის ხავთის მწარმოებლების მეთოთხმეტე და მეხუთმეტე კრებებზე შემუშავებულ ზრდიერობის შესახებ მუშათა უბედურ შემთხვევისგან დაზღვევისა და საავადმყოფო კასებისა.

— სასქელმოფო ქარხნებში მომუშავე მუშებისთვის საავადმყოფო კასებს ახალი დებულებით ექნება შემდეგი მიზანი: დახმარება ფულით ავადმყოფ მუშებისა იმ დროს განმავლობაში, როცა მათ მუშაობა არ შეუძლიათ, ხოლო არა უმეტეს სამი თვისა; ფულით დახმარება კარდაცვლილ მუშის დასამარათ, მუშის ოჯახის წევრების თავის ხარჯზე ექიმობა, აგრეთვე დახმარება მუშების ცოლებისა და მუშა ქალების ორსულობის დროს.

მთა-მადნის მუშების დამზღვევი კასის მიზანი იმავე დებულებით არის დროებითი და მუდმივი დახმარება აღმოუჩინებ: 1) იმ მუშებს, რომელთაც შრომა აღარ შეუძლიათ საშუადროთ ან დროებით, სხანამ მუშაობას ხელ-ახლა შესძლებენ; 2) მთა-მადნის მუშების ქვრივებს მუდმივით ან და ხელ-ახლ გათხოვებამდის; 3) კარდაცვლილ მუშების შვილებს 18 წლის შესრულებამდე ან და მუდმივ, თუ იმათ 18 წელს შემდეგაც შრომა არ შეუძლებათ; 4) კარდაცვლილი მუშების ზირდაზირ ნათესავებს, რომელნიც კარდაცვლილი მუშის შეძლებით ცხოვრობდენ, და უკანასკნელ 5) მუდმივი პენსია ენიშნებათ ყველას იმ მუშებს, რომელნიც 55 წლის შეიქნებიან და რომელთაც ხვედრი შესატანი უძღვევიათ კასისთვის არა ნაკლებ 35 წლის განმავლობისა.

— მოსკოვის გუბერნიის ერთ საზოგადოებაში 29 აპრილს ბოქაულის განკარგულებით დაუტუსადებიათ 227 გლეხი და აი რა მიზეზით: გასულ იანვარში ხსენებულ საზოგადოებაში მოხდა მამასახლისის არჩევანები. კანდიდატებათ გამოვიდენ კამდიდრული სოფლის ჩარხები და მექარხნეები, ხოლო საზოგადოებამ ისინი არ ინდობა, თუმცა ბოქაული ბევრს ცდილობდა, და მათ მაგიერ აირჩია ერთი ღარიბი გლეხი კირილოვი. ბოქაულს არ მოეწონა კირილოვის არჩევა და მამასახლისობა იმას

არ ჩაბარა, ხოლო დროებით მამასახლისის თანამდებობაზე მო-  
იწვია სოფლის ნაცვალის. შემდეგ დანიშნა ხელმეორეთ არჩევ-  
ნები, მარა მაშინაც საზოგადოებამ განაცხადა—კირილფვის გარ-  
და არავინ არ გვიხდის. ამ ნაირათ არჩევანები შეორე-ჯერაც არ  
შედეგა, ხოლო ურჩი გლეხების წინააღმდეგ ბოქსულმა დანიშნა  
„გამოძიება“ და აღმოჩინა, თითქმის ეს ურჩი გლეხები მიდგო-  
მით მოქმედებდნენ, რის გამოც იმათ დატუსაღება გარდაუწყვი-  
ტა. რადგან 227 კაცი საზოგადოების „საბრწყალოში“ ერთთ  
ვერ მოთავსდებოდა, ამიტომ ისინი დაჯერო ჯგუფებათ და ასე  
რიგ-რიგობით 25 კაცამდე ისხდნენ საპროცესოებში.

— განათლების მინისტრის შვედელის კანკაგინის თხოვნა,  
რომ მისი შესახებ გარდაუწყვეტილება განესახიერებიათ, სენატ-  
მა დასტოვა უუურადდებოთ, ხოლო ლაგავსკის განსახიერება არ  
მოუსურვებია. ამ სახით, მათ შესახებ განახიერი შევიდა თავის  
ძალაში და კიდევ მოიყვანეს სისრულეში: კანკაგინის შესახებ  
25 ანტილიან, ხოლო ლაგავსკის—28 დან. ზირველს გადა-  
წყვეტილი აქვს, როგორც იცით, 20 წლის კატორგა, შეორეს  
6 წლის.

— „მოსკოვის საგუბერნიო უწყებებში“ გამოქვეყნებულია მი-  
სი იმპერატორებითი უმაღლესობის მოსკოვის გუბერნატორის  
შემდეგი განკარგულება: „რადგან განშირდა ჩხუბის დროს იარა-  
ღის ხმაკება, რომელითაც აღაშინეს სასახიერებენ, ხან კვლავ გი-  
დევ, ამიტომ მე მე-15 და მე-16 სტ. 1 ჰუნ. ძალით გა-  
ძლიერებული დაცვის დებულებისა, გამოკვეტი შემდეგი წესები:

1. აკრძალულია დანების ტარება გარდა იმ შემთხვევისა,  
როცა ამის მოთხოვნა რაიმე ხელახა.
  2. ამ განკარგულების დამრღვევი დაისჯება ჯარიმით 500  
მანკთამდე, ან და სამი თვის დატუსაღებით.
  3. ეს განკარგულება სავალდებულოა მოსკოვის გუბერნიის  
სულ ეველა შტაბოვრებათათვის და შედის თავის ძალაში გამოქვე-  
ყნებიდან 15 დღის შემდეგ.
- დონის სამრეწველო აუზის, ბახმუტის და სლავანსკის-  
სკის მახრებიდან ცხრა დღის განმავლობაში გაუგზავნიათ თავიანთ  
სოფლებში რვა ათას მუშამდე.
- ამ მოკლე ხანში ფინანსთა მინისტრი მოაწოდებ სსტკოს,  
რომლის მიზანი იქნება განსაზღვროს სამუშაო დღე უწყლავანი  
სოფლის მუშებისათვის.
- რკინის გზის საქმეთა დენარტამენტი აცხადებს, რომ 14  
მაისიდან ეკატერინსლავის გუბერნიის ქარხნების მუშებს ეძლე-  
ვათ უფლება უფასოთ დაბრუნდნენ მატარებლით თავის სამშო-  
ბლოში.

— ახრათა აქვთ, რომ სულ ეველა საშუალო და უმაღლესი  
სასწავლებლები, რომელნიც დღეს ექვემდებარებიან სხვა-და-სხვა  
სამინისტროებს: გზისას, მიწათმოქმედებისას და სხ., გადაეცეს  
განათლების სამინისტროს.

— როსტოვის (დონზე) ქუჩები ავსებულა გლეხ-კაცებით და  
მათი ცოლ-შვილით, რომელნიც სრულიათ უსახსროთ არიან და  
ქუჩა-ქუჩა მათხროვრებით გამოდიან. ისინი უფოფილან ბესარაბიის  
გუბერნიიდან, სადაც შიმშილობას ჩამოვარდნილი, და აწირებენ  
ჩრდილო-კავკასიაში სამუშაოს საძებრათ წასვლას.

**ბეგრებურგადან დებეშით იტყობინებთან:**

7 მაისს, სასადილოთ შესვენების შემდეგ, ობუხოვის  
ფოლოადის ქარხანაში, დაბა ალექსანდროვსკში, შლისერ-  
ბურგის გზაზე, ქარხნის სხვა და სხვა განყოფილების 200  
მუშამ ხელი აიღო მუშაობაზე; ქარხნის უფროსის თანა-

შემწესთან პოდპოლკოვნიკ ივანოვთან მოლაპარაკების  
დროს, მუშებმა სხვა-და-სხვა უსაფუძვლო მოთხოვნილება  
გამოუცხადეს. პოდპოლკოვნიკმა ივანოვმა ურჩია მუშებს  
მუშაობა დაეწყოთ, მაგრამ ამაოთ. მუშები მოედვენ  
ქარხანას, მისცეს ნიშანი მუშაობის შეწყვეტისა და ძა-  
ლით დაუწყეს მაშინებს გაჩერება; პოდპოლკოვნიკმა ივა-  
ნოვმა, რომელსაც მხოლოთ 40 ჯარის კაცი ჰყავდა  
ქარხანაში, შემწეობა სთხოვა პოლიციას. გამოიწვიეს ჟან-  
დარმების 2 ესკადრონი, ცხენოსან პოლიციელთა რაზმი  
და 200 ქვეითა პოლიციელი. იმავე დროს ქარხნის ყვე-  
ლა მუშები, 3600 კაცამდე, ყვირილითა და სტვენით  
გამოვიდნენ ქუჩაში. ალაყაფის კარებთან მდგომს დარაჯს  
ერთმა მუშამ დანით რამდენიმე ჭრილობა მისცა; იქვე  
ერთმა მუშამ ქვა ესროლა სახეში და დასჭრა უბნის  
ოკოლოტოჩნი; მუშებმა შეაჩერეს ტრამვაის ვაგონების  
მოძრაობა. პოლიცემისტერი პოლკოვნიკი პალიბინი,  
რომელიც უფროსობდა პოლიციის რაზმს, შეეცადა მუ-  
შების გაფანტვას ქუჩიდან, რადგანაც ეშინოდა საქმის  
გამწვავებისა. მან მოსთხოვა მუშებს, რომ დაშლილიყვენ,  
მაგრამ ამაოდ; მაშინ ხალხს მიუტია ცხენოსანი რაზმი  
და ჟანდარმები; ხალხი მათ დაუხდა ქვის სროლით და  
ცხენოსნები იძულებული შეიქმნენ ობუხოვის ქარხნისა-  
კენ დაეხიათ. მაშინ პოლკოვნიკმა მოიშველია ობუხოვის  
ქარხანაში მდგომი წინაღვე დამხადებული ქვეითა ჯარის  
რაზმი, ამ რაზმს და პოლიციას მუშები კვლავ ქვის სრო-  
ლით დაუხდნენ. ამავე დროს მუშების მხრით რამდენჯერ-  
მე რევოლვერი დასცალეს, მაგრამ არავინ არ დაჭრილა;  
მაშინ პოლკოვნიკმა პალიბინმა განკარგულება მოახდინა  
სროლა დაეწყოთ და მიანდო ეს ქარხნის რაზმის უფროსს  
ბოტმანს. რაზმმა სამჯერ დასცალა თოფი. ერთი მუშა  
მოკლულ იქმნა და 8 დაიჭრა. ამის შემდეგ მუშები გაი-  
ფანტნენ. ამ დროს მოვიდნენ გამოწვეული ომსკის პოლ-  
კის როტები და ამათი შემწეობით პოლკოვნიკი პალიბი-  
ნი შეუდგა მახლობელ ეზოებიდან მუშების განდევნას,  
რომლებიც განუწყვეტლივ ისროდნენ ქვებს. დატუსაღე-  
ბულია 100 კაცი. მუშებთან შეტაკების დროს პოლკო-  
ვნიკმა პალიბინმა მიიღო თავსა და ფეხში ჭრილობა. პო-  
ლიციელთაგან დაჭრილია 11 კაცი, მათგან 7 მძიმედ;  
დაჭრილია აგრეთვე უბნის პოლიციის ზედამხედველი.  
ერთი დაჭრილი მუშათაგანი 8 მაისს გარდაიცვალა. და-  
ნარჩენები საავადმყოფოში დააბინავენს.

**„მეკონდრამანდენი“ ანუ „შეიღნი ისრაილისა“.**

ვიეს, რომელმაც მოკლე ხანში მოიარა თითქმის რუსეთის  
ეველა სტენა და ეველგან ერთი და იგივე ბედი ეწვია; ევეთფ-  
ნის ორ მწერლის კალამს. ესენი არიან ისრაილი ეფროხა და  
ვინმე კრილოვი (ფიტიგინ).

მოკლეთ ზიესის შინაარსი შემდეგია: მდიდარმა ურამ მო-  
შა გოლდენგეიზერმა, არა ნაკლებ მდიდარმა მისმა ძმისწულმა  
მისეიდ რედდაინმა, მისმა ქალმა სარამა, მისმა სიძემ სენდერმა  
და რაბინმა მიატოვეს თავისი სხლეები და გადავიდნენ ვინმე აბ-  
რამის ღარბ ქოხში, რომელიც ცხოვრობდა სამზღვარზე. მათი  
მიზანი იყო ეზარებიანთ აქედამ კონდრამანდა და განკებ რომ ეწვი  
არავინ აელო, ისინი ღხინში ატარებდნენ დროს. გარდა სარასი  
და აბრამის, რომელთაგან ზირველი უკვე ადგა გადაგვარების  
გზას, ხოლო მეორე კი უსწავლელი და გულუბრველო კაცია,



დანარჩენი მოქმედნი ხარნი წარმოადგენენ ბუდეჲს ფოველ საშინუ-  
 ლებისს და სასაზღვრებისს. ეველა იმთაგანი გიბუნება, ფარ-  
 ხეველი და მატყურა, ასე, რომ თვის მამათმთავარ აზრამსტ-  
 ატუიღებენ. ვინმე ისრაილის ქალი ცინა აქებს ჯამუშობას და  
 ეს იმისი ფოველ-დეორი ხელბაა, რაბინი სუნდერი ამბობს,  
 რომ მისი სიბრძნე და სწავლა მხოლოდ ისრაელეებისათვის არის  
 და მცნება „არა კაც ჰქლა“ სრულებითაც არ უგრძელავს ისრა-  
 ელებს მკვლელობას, რადგანაც იქ არ არის ნათქვამი — ვისი მ-  
 კვლა შეიძლება და ვისი არა. ე. ი. შეიძლება მოკვლა ქრის-  
 ტიანისა, ხოლო ებრაელისა-კი ადგრძელდება. ეს ზატიანისი  
 რაბინი მოშსთან ერთად გადასწვეტავს, რომ თავისი ბრატ-  
 მოქმედება გადასრადონ რუსის ვაჭარს, რისთვისაც უნდათ მო-  
 წამლან დარბი იოშკა. მას, რაბინს ის აზრი აწუხებს რომ  
 ვიღაც ქრისტიანის მოკვლისთვის დაიტანჯება ისრაილი და არა  
 ისევე ქრისტიანი. ეს ბირველი მოქმედება მთლად ავტორებს  
 ვიგისი გვირების დასასათვისთვის მოუხდომებიათ. შემდეგ  
 კონდრატანდისტები მართავენ განკუთ ხადიმს და ამ ხადიმის დრას  
 მდიდარი კომერსანტი მიხეილი აზრებს კონტრატანდის. თუმცა  
 აქამდე დღე იყო და მიხეილს არ უნდა ემუშავნა, მაგრამ ის თავს  
 იმითი მართლულობს, რომ იგი მხოლოდ განაკებს საქმეს და  
 მუშაობით ხომ სხვები მუშაობენ. მაგრამ მეკონტრატანდეებს  
 უარულები მოასწრებენ, მოუვათ შეტაკება და მიხეილი მოჭ-  
 კლავს ერთ უარულთაგანს, რომ ხელიდამ დაუსხდეს მათ. მი-  
 ხეილი ხადიმზე დაბრუნდება, სადაც დანარჩენნი, გარდა აბრამისა,  
 გაიკუთნენ რაც მოხდა, და არიან იმის ბჭობაში როგორ დაფა-  
 რან მკვლელბა. მაგრამ ამ დრას შემცვევიან მათთან უარუ-  
 ლები, შემთქვეთ მოკლული ამხანაგის გვაში და ხედავენ მოუ-  
 ლოდნელ სურათს: სუფრას გაშლილია, მთელი სახლობა მისცე-  
 მია ლოცვა-ვედრებს ტრანპოზის წინ, ასე, რომ მათ არც-კი  
 სცადინათ, არც-კი უნდათ შეწვიტონ ლოცვა, რომ ვითომ და  
 რამე შემწობას აღმოუჩინონ ამ უბედურ უარულეებს მიცვალებუ-  
 ლით ხელში.

ს ა მ ლ ვ ა რ - გ ა რ ი თ.

**ონელინი.** ამას წინათ კოლხიის მინისტრმა ჩემბერლენმა  
 ბირმინგამში ხოლიტიკური სიტუვა წარმოსთქვა, რამც საერთო  
 ურადლება მიიქცია ჯერ ერთი თავისი კაბულელი კილოთი და  
 მეორეც მით, რომ ამ სიტუვაში ის სრულიად ეწინააღმდეგება  
 მას, რასაც წინანდელ თავის სიტუვაში აცხადებდა. მაგალითად,  
 რომის შესახებ მან თქვა: „სამხრეთ აფრიკის ომი აუცილებელი  
 იყო — ჩვენ ვიბრძოდით არა რაიმე წვრილმანის გამო, არა ამხრე-  
 ველთა უფლებებისთვის. ჩვენ მოწინააღმდეგეთ, მომხრეთ „ზა-  
 ტარა ინგლისისა“ არ ესმით გულის ზანუხი თავიანთ მამულის-  
 შვილთა. იმათ წარმოუდგენიათ, ვითომ ინგლისელები უკან და-  
 ისევიან იმ მიზნით, რომ ომი მოულოდნელად გაგრძელდა,  
 ან კიდევ მეტი დაჯდა იმზე, რასაც თქვამდნენ. ამაირათ,  
 მათ წარმოუდგენიათ, რომ თქვენ მომხრე იყავით ომის არა  
 როგორც სამართლიანი აქტისა ჩვენის მხრით, არამედ იმისთვის,  
 რომ თქვამდით იათუთ დაჯდებოდა ის. არა, ინგლისის ხალხ-  
 მა თავიდანვე იგრძნო სამშობლას საშიში მდგომარეობა და ახ-  
 ლაც თქვამდნენ ისე, როგორც ამ ექვსი თავის წინათ თქვამდა:  
 ომი სამართლიანი და აუცილებელია, ის გამოწვეულია ოკუპაცი-  
 სქტიულით ბურებისა, რომელთაც აზრათ ჰქონდათ ინგლისელებ-  
 ბის გამოძევება სამხრეთ აფრიკიდან. ამ ომის აცილება მო-  
 ლოდ ბრიტანის იმპერიის სახელის გატეხით შეიძლება“.

შემდეგ მინისტრმა შეკრა იმ თანახმაურ ზომებს, რომელ-

თა საშუალებით მთავრობას განზრახული აქნს დატოვოს ომის-  
 გან ნახული ხარჯი. „შაქრის ბაჟი.— თქვა ჩემბერლენმა.— ცლ-  
 ტას შედარებით იმასთან, რასაც სხვა ხალხი იხდის მშვიდობი-  
 ნობის დროს. რაც შეეხება ნახშირის ბაჟს, ის უცხოელებს აწვეთ  
 კისრათ. მაგრამ, კიდევ რომ წარმოვიდგინოთ, რომ ეს ბაჟი  
 ნახშირის გვირბების ზატრანთ დასწავა, დიდ უბედურებას რო-  
 დი წარმოადგენს, თუ 200—300 კაცი 1 მილიონ ფუთ ნა-  
 ხშირს დაჰკარგავს. უფრო სამწუხარო ის იქნება, თუ ახალ გა-  
 დასახლდნ გვირბებში მომუშავეთა ხელფასის დატემა მოხდება,  
 მაგრამ განა ისინი-კი არ არიან ვადლებული თავიანთი წველილი  
 გამოდონ“ ომისგან გამოწვეულ ხარჯთა დასაფარავათ?“

დასასრულ, მინისტრმა ის აზრი გამოთქვა, რომ მთავრო-  
 ბას უწინდებურათ ხდობით უტყერს როგორც ინგლისის ხალხი,  
 ისე კოლხიებიცა.

— მთავრობამ ზარდამენტს წარუდგინა ახალი ბილი სწავ-  
 ლა-განათლების შესახებ, რომლის საშუალებით მას სურს ინგლი-  
 სის განათლების მთელ საქმეს ერთი სახელმწიფო ორგანიზაცი-  
 მისცეს. ამ ფაშით ეს საქმე ასეა დაუქნებული: ბირველ დაწვები-  
 თი სასწავლებლები განიფოფებიან ორათ: საეკვესიო და სამ-  
 ქალაქო. ბირველთა განაკებს თვით ბრველი სასულიერო ბირთა  
 მეთაურობით, ხოლო მეორეთა— ხალხისაგან ამორჩეული „სკოლის-  
 საბჭო“; ამ არჩევანში დიდი ზარტიობაა კლერიკალთა და ლი-  
 ბერალთა შორის, მაგრამ გამარჯვება უფაველთვის უკანასკნელთ-  
 რება და ამიტომ მის სკოლებსაც სამქალაქო სასიათი აქნს.  
 საზოგადოება მის ნებაზეა მიშეებული, რომელხანრი სასწავლე-  
 ბელები სურს, იმას დაიარსებს, მხოლოდ მოგაღება-კი ბავშვები  
 ერთ-ერთში უთუოთ ატაროს. „სკოლის საბჭო“ განსაკუთრებით  
 გავრცელებულია ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში, სოფ-  
 ლებში-კი საეკვესიო სკოლები სჭარბობენ. საშუალო სასწავ-  
 ლებები უმთავრესათ კერძო დაწესებულებას, მხოლოდ სახელ-  
 მწიფოს მიერ მინიჭებული უფლებებით. მეცადინეობდენ ამთ-  
 თვისაც „სკოლის საბჭო“ დაეარსებინათ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა-  
 დღემდის და აი, ახლა ახალი ბილით უნდა შეიქმნას ერთხანრი  
 ორგანიზაცია ეველა ამ სასწავლებელთათვის. არსებული ორგა-  
 ნიზაცია რება ხელ-შეუხებული, მხოლოდ თვითუფ საზოგა-  
 დებაში, მზრახში და ბრფინციში არსდება „სკოლის კომი-  
 ტეტი“ ადგილობრივი თვით-მმართველობის წევრთაგან; კომი-  
 ტეტის საქმეა იქნიოს შედამხედველობა ადგილობრივ სასწავ-  
 ლებებზე და მათ შორის ხშირათ უადგილო კანკურენცია შე-  
 ძლებისამებრ მისზის. კომიტეტთა მთავარი გამოგება იქნება  
 დონდონში სახელწოდებით „Education Board“ — „განათლების  
 გამოგება“.

**საზრახვითი.** სოციალისტთა დეპუტატი ვივიანი ბრ-  
 ტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ის გადაყენებულ იქმნა სო-  
 ციალისტური გაზეთის „ლანტერნის“ რედაქტორობისაგან. აი  
 საქმე რაში ეფოფილა: სოციალისტთა გაზეთების რედაქცია, ჩვე-  
 ულებრივად, სრულიად დამოუკიდებელია გამოცემელთაგან. ესე-  
 ნი ხშირათ შეძლებული ბირებია, რომელთა ინტერესია ჩადებუ-  
 ლი ფულის ბრფინციები მიიღონ და მეტი არაფერი. ამ სამი-  
 წლის წინეთ თინანსისტების ერთმა ჯგუფმა მილიონას გადა-  
 სცა თავისი გაზეთი „ლანტერნი“ და მისცა ბირობა რედაქციის  
 საქმეში არ ჩარეულიყო. მილიონანიც შეუდგა საქმეს და გაზე-  
 თი ფეხზე დააყენა. როცა ის საშინისტროში მიიწვიეს, მაშინ  
 მთავარი რედაქტორობა გადასცა თავის მეგობარს ვივიანს, რო-  
 მელიც დღემდის ჩინებულათ ასრულებდა თავის ძლიერ როლდ  
 როდს, ე. ი. მილიონანის დაცვა სოციალისტურ ბრფინციისა-  
 გან და იმვე დროს სოციალიზმის ბირადის ხელში შერჩენა.

ამ ორი თვის წინეთ ზარყის სსკში კითხვა წამოაყენეს „გაზის საზოგადოების“ გაუქმების და ქალაქის განათების საქმის ხელში აღების შესახებ. ამ პროექტის მომხრე იყვნენ განსაკუთრებით სოციალისტები და კიდევაც გაიყვანეს თავისი. „გაზის საზოგადოება“ ამასვე შემოეთლდა და დაწყო გაზეთებში ავითარება თავისი უფლების აღსადგენათ. და რადგან „ლანტერნის“ ზატონი ფინანსისტებისადგ იყოლი ქვეყნობათ ამ საქმეში ჩადებული, ცხადია, ამათაც მოინდომეს თავის გაზეთში კაპიტალისტთა ინტერესის დაცვა. მაგრამ ვივიანმა არ მიიღო არც ერთი წერილი მათ მიერ გამოგზავნილი და აი ამით გადაწყვეტიეს ვივიანის დათხოვა. ვინათ, რას იზამს მილიონარი.

— ამ დღეებში სიტუაცია წარმოუთქვამს ცნობილ მედიის და ურჩევია მომავალ (1902 წ.) არჩევნებისთვის ეგვლა ოპოზიციური ელემენტების შეერთება ვალდებულნი დასაცემათ და „სოფრანგეთის სოციალისტებისგან განსათავისუფლებლათ“. ასეთივე ზოგჯერ წარმოუდგენიათ კლერიკლებს, მონარქიკლათ და სხვ. ასე, რომ მოსალოდნელია გაისათ მონდეს ისტორიული არჩევანი: ერთი მხრით დადგება კლერიკალი, მონარქიკალი, ნაციონალისტი, ანტისემიტი, ზომიერი რესპუბლიკანელი (მელიონისტები), ლიბერალური (რიბოს ჯგუფი) და მათი ამოღება-დამოკლება, მეორე მხრით-კი მოწინავე რესპუბლიკანელები, რადიკალები და სოციალისტები—დღევანდელი კაბინეტის მომხრეები.

— ზარდაშენების კომისიამ შეიმუშავა პროექტი მუშების დაზღვევისა. ამ პროექტს ზოგიერთ მუხლში არ დაეთანხმა მთავრობა. ამ უთანხმოების მოსახიბლათ კომისიას და მინისტრების—მალიონარის და კაიოს შორის გაიმართა თათბირი, რომლის შედეგი იყო ურთიერთი დათმობა და შეთანხმება. მთავრობას აზრათ ქვეყნა ენისა და ენიშნა მხოლოდ სამრეწველო მუშებისათვის, სოფლის მუშებში-კი მხოლოდ იმათ ელემენტთა შემწეობის უფლება, ვინც კადილდა ქირაზე ერთი წლით. აქ მთავრობა სელმძღვანელობდა იმ მოსახრებით, რომ ბევრ სოფელს აქვს ზატარა მამული, რომელსაც თვითონ ამუშავებს და მხოლოდ ამის შემდეგ დროებით მიდის ქირაზე. ხოლო კომისიის მოთხოვნით მთავრობა დათანხმდა, რომ სოფლის მუშებს ენისის მიღებაში იგივე უფლებები მიენიჭოს, რა უფლებაც ეძლევა სამრეწველო მუშებს და ნოქრებს, დანარჩენში მინისტრები არ დაეთანხმენ კომისიას. საზოგადოთ მთავრობა იმ აზრის არის, რომ რაც შეიძლება ხალხები ხარჯი დაწვეს რესპუბლიკის მუშების დაზღვევის მოსწეობათ; აქ თვით მუშები და მრეწველები უნდა იყვნენ ხარჯის გამწევი. ორივე იმათ შეაქვთ რადენიმე გადასახადი, საიდანაც შედგება ფონდი. რესპუბლიკის მთავრობა ზირობას იძლევა, რომ ამ ფონდზე იძლიოს სამი პროცენტი სარგებელი. კარდა ამისა, რადგან შემწეობა და ენიშნებათ მხოლოდ ფრანგ მუშებს, ამიტომ მთავრობამ იმ მოსახრებით, რომ მრეწველებმა არ აუხვიონ გვერდი გადასახადს და არ მინცენ უბიროტისობა საზღვარ-გარეთელ მუშებს, შეიტანა პროექტში მუხლი, რომლის ძალით მრეწველი ვალდებულია საპენსიო ფონდისათვის ისტადს ფული ყოველ მუშაზე, ფრანგი იქნება ის თუ უცხოელი. კომისიას აზრათ ქვეყნა, რომ პროექტის განხრათ ქვეყნისათხავე დანიშნულდა 100 ფრანგი ენისია ეგვლა იმ მუშას, ვინც ამ დროს იქნებოდა არა ხალხები 65 წლისა. ხოლო მთავრობა ამ აზრს არ დაეთანხმა, რადგან მამის თუ ვიანკარიშებთ ასეთი მუშების რიცხვს 800 ათასამდე, რესპუბლიკის თავიდანვე უნდა მიემატება 80 მილიონი ფრ. ბევრ სხვა მუხლებში არ დაეთანხმა მთავრობა და წარადგინა თავისი ახსნა, რომლის შემდეგ, ზოგიერთ წვრილმანებს კარდა, ზარდაშენების კომისია მიემხრო მთავრობის მიერ შედგენილ პროექტს.

**ისპანია.** ისპანიაში კიდევ არ დაწესებულა ხალხის მხარობა კლერიკლების წინააღმდეგ. ეს ახსნება იმით, რომ ამ უკანასკნელ წლებში აქ ძლიერ განვითარდა მუშების სხვა-და-სხვა ორგანიზაციები და მით ადგილი შეიქმნა მათი ერთი მიზნისკენ ამოძრავება. მაგალ., ერთ ასეთ ორგანიზაციას ჰქვას 35,000 წევრი და განიოფება 150 სექციათ. განსაკუთრებით დიდი მანიფესტაცია მოხდა 18 აპრილს (1 მაისი) როგორც მადრიდში, ისე პროვინციის 50 ქალაქში. ბარტელმანსა და ზელმაში ეგვლასე უფრო გაილამქრეს ბერების და მონასტრების წინააღმდეგ, თუმცა იმავე დროს კვლავიების და ლეღების წინააღმდეგ არა მოუხდენიათ-რა. მანიფესტაცია განმორდა შემდეგ კვირშიაც. მანიფესტანტებმა დასტურეს ტელეფონის და ტელეგრაფის მართულები და მით შესწევითეს მადრიდის და პროვინციის კავშირი. მინისტრ-ბრეზიდენტს საგასტის უთქვამს: ბარტელმანს არეულობა ანარქისტების ბრალად, რაც შეეხება სოციალისტებს, მათი ზოგი მოთხოვნალება მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ განიხიროს და საფუძვლიანობა.

ბარტელმანს ეგვლა ფაბრიკები გახერხებულია, ყოველგან გაფიცვას.

**სათათრეთი.** კონსტანტინოპოლში ამ უამთ დიდი დავიდარბა ატეხილი ფოსტის საქმეთა შესახებ. ბერლინის ტრაქტატით, ევროპის ოთხ სახელმწიფოთა—ინგლისს, საფრანგეთს, ავსტრიას და რუსეთს—ნება მიეცა თავ-თავისი საკუთარი ფოსტა იქნებინათ სათათრეთში. ეს გამოიწვია იმ კარემებამ, რომ სათათრეთის ფოსტა ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას, წერილებს ან გვიან აბრებდა ზატონით და ან სულ ჰკარგავდა. სათათრეთის ფოსტა ახლაც ასე არეულ-დარეულია და მას არც ერთი სახელმწიფო თავის კორესპონდენციას არ ახდობს. მაგრამ მიუხედავად ამისა, სულთანმა გამოცრა ბრძანება უცხოეთის ეგვლა კორესპონდენციები დაიჭირეთ, განხრიკეთ და სათათრეთის ფოსტას გადაეცეს დასატარებლათ. და მართლაც—ერთ დღის გემით მოსულ ფოსტას დახვდა ხონიჭრის მხელელები, სტაცეს ხელი და იქვე შეიტანეს თავიანთ სამართველოში და დაწვეს ხსრეკა. ეს ამბავი გააკებინეს საქონებს და მაშინვე მოვიდა ინგლისის სელმანს დრაგმანი თავისი ჯარის-კაცებით, მოსთხოვა თათრებს კარების გაღება და ფოსტის უკანვე დაბრუნება. იმათ უარი განაცხადეს. მაშინ დრაგმანმა უბრძანა თავის კაცებს კარების ძალით ჩამტვრევა, რაც შესრულდა იქნა. შეშინებული მონელები მაშინვე დამორჩილდნ და ფოსტა უკანვე გადასტეს. ამის ზასუსთ სულთანის მთავრობამ ბრძანება გამოცრა უცხოეთის საფოსტო კანტორების გაუქმების შესახებ, რასაც წინააღმდეგა ეგვლა სახელმწიფოები და გამართა ჯახი. ახლაც, როგორც უკანასკნელ დეპუტებთან ჩანს, ხონიჭრს გადაწვევითა დამორჩილდეს სახელმწიფოთ და ძველი საფოსტო წებობა იხვე აღადგინოს.

**ალბანია.** ალბანიას შეადგენს ერთი მთავრობისი პროვინცია, რომელიც მდებარეობს სათათრეთის საზღვრებში და შეიტავს ძველის ძველ ხალხს—ალბანელთ. ესენი, საუკუნების განმავლობაში დამონებულნი და მიძინებულნი, ახლაც თანდათან იღვიძებენ და თავის უფლებებს თხოულობენ. ამას წინეთ ქ. ნეპოლში მოხდა ალბანელთა კონგრესი, რომელმაც მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: შემდეგ დათინური ანბანებისა ალბანურ ენაში, ალბანურ ენაზე სწავლება ეგვლა იმ საზოგადოებებში, რომლის მცხოვრებთა უმრავლესობა ალბანური გვარტომობის არის; განეცხადოს პროტესტი სათათრეთის მთავრობას იმ ზომებისათვის, რომელთაც ის შეცადინებებს ალბანელთა ენა და გვარტომობა დაუძლეუროს. ამას კარდა, კონგრესმა დეპუტაციას





გაუგზავნა იტალიის მეფეს და სთხოვა მიფარველობა გაუწიოს იტალიაში მცხოვრებ ალბანელთა და აგრეთვე მომავალ ალბანელთა კონგრესის სახელით თავმჯდომარეობა იტვირთოს.

**სპარსეთი.** სპარსეთის მთავრობამ ამ დღეებში ერთი მეტით საუზრადებო ბანკის გამოსცა, რომელსაც ბევრი კარგი შედეგი მოჰყვება მთელი სპარსეთის საკეთილ-დღეობით. მრავალრიცხოვანი უფლები მმართველთა სასტიკად დაჯილბუხი აქვთ თვალ-უური აღვიან, რომ დღეის იქით არაფერს გაჭბუდეს, არც კერძო ზიზმა, არც რომელიმე მოხელემ რაიმე საქმეზე ბაჟის დადება ერთი მრავალრიცხოვანი მეორეში გადატანის დროს. ბაჟის დადების უფლება ერთმეფათ იმ ზირთაც, რომელთაც ნაბოძები ჰქონდათ ამ გვარი უფლები თითონ შაჰისაგან. ამგვარი უფლებების წყალობით შეუძლებელი იყო ათიოდე ვერსის გავლა, რომ ახალი ბაჟი არ დაედო ვინმეს თქვენ საქმეზე. ადვილი წარმოსადგინია, თუ რა ძვირად აფერხებდა ამ გვარი თვითნებობა კერძო ზირების და მოხელეების შინაურ ვაჭრობის განვითარებას. ბევრი შინაური სიმდიდრე ან სრულიათ ხელ უხლებელი რჩებოდა, ან არა და არსად გაჰქონდათ იმის შიშით, რომ მეტი არ გადაეხდათ მასზე, ვიდრე თითონ საქმეელი ღირდა. ეს ახალი კონიერი ზიზმა მალე იქნებეს გავლენას როგორც შინაურ ვაჭრობაზე, ისე შინაურ წარმოებაზე.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ბოტას კარმეო შეიკრიბენ უფლა ბურების მეომრები, რომელთაც სიკვდილი არჩიეს დამარცხებას. თვით ბოტა მხნეთ არის და ჯერ იმედს არ კარგავს. კიტჩინერს, რომელმაც ზავზე მოსადაზარაკებლათ კაცი გაუგზავნა, მან ამყათ უზსუსხა, მე ათ წელს შემოიძლია კიდევ ბრძოლა განვაგრძო ინგლისელებთან. ამას წინადა მის სიტყვას წარმოუთქვამს, და გამოუცხადებია, მხოლოდ ისეთ მეომრებს დავიტოვებ ჩემთან, რომელთაც კარდაწვევითი აქვთ ბოლომდის ებრძოლან მტერსა. ამით სსხიან ბურები იმ გარემოებას, რომ მათი მეომრები ბოლოს დროს ასე სშირათ ჰყრიან თავის ნებით იარაღს. „ბოტას უნდაც, — ამბობენ ისინი, — მოიცილოს თავიდან უფლა სუსტი მეომარი, რომ მეტი უფრო თავისუფლათ განაგრძოს ომი მტერთან“. ასეა თუ ისე, ჯერ ომის სასწორი მაინც ინგლისელებისაკენ არის გადახრილი და ტრანსვაალიდან მოსული დეპუტები იმავე ხსიათის არის, როგორც წინათ. კიტჩინერი უფაელ ტელეგრაფში იტყობინება, ამდენი ბური მოკლულია ბრძოლაში, ამდენი ტყვეთ არის წაყვანილი, ამდენი თავის ნებით დაგმორჩილდა. მხოლოდ ერთი არა ჩვეულებრივი ამბავი მოიტანა დურბანთან 5 მაისის დეპუტამ. აი, რა ზომისთვის მიუმართავს ომის მალე განთავსებლათ ადგილობრივ ინგლისის უმაღლეს მთავრობას. მას მოუხდომნია უმისოდან ძალა დაკარგულ მტრისთვის მკვიდრ მცხოვრებლების დასევა, და ცარცვა-გლეჯის სრული ნება მიუცია უკანასკნელებისთვის. ზულუსები კიდევაც შესევან ფრეიგედის ოქსის, წაურთმეფათ ბურებისთვის ათასი თავი საქმეელი და გადაუციათ ზოგჯერ ბოტტომბასთვის, რომელსაც ზულუსები დაუსახელებია ამ საქმეიდან 10%.

როდესაც ეს ამბავი ინგლისის მინისტრ-პრეზიდენტმა გააცხადა, მან გამოუგზავნა ბოტესტი უმთავრეს სამხედრო ზირებს ამგვარ საქმეელის წინააღმდეგ. ის ფიქრის, დაშინაჟე თვით სამხედრო მთავრობა კი არ არის ამ საქმეში, არამედ ზოგჯერ ბოტტომბა, რომელიც ალბათ გადატარებდა ზირვანდელ ინსტრუქციებს.

**ჩინეთი.** ჩინეთში უფრო-და-უფრო თავს იჩენს სიძულვილი ევროპელებისადმი. ხელ-ახლა არსდება სხვა-და-სხვა ჩინელთა პატრიოტული საზოგადოება, ხელ-ახლა მოაქვს დეპუ-

ტებს მათი აჯანყების ამბავი ადგილობრივ ქრისტიანების წინააღმდეგ. 4 მაისს ზეკინიდან იწერებან: „ზოტინფუს და ჩელენდინფუს სამხრეთ ნაწილში დაიწყო არეულობა. ამ ოქსის დღემდის ფრანგები ადევნებდნ თვალ-უურს, ხოლო მათ წასვლის შემდეგ გადაეცა ჩინელებს. ადმოსავლეთ აზიის ზოგჯერ ბატალიონი ემზადება გასლასქრებლათ“. 7 მაისს: „400-500 ჩინელს ვუნაუში შეუდგენათ ქრისტიანთა მდევნელი საზოგადოება. წარსულ ვვირას ისინი დაეცენ მკვიდრ ქრისტიანთ და ბევრი მათგანი დაჭრეს“. „დიდმა მუშტმა“ კვლავ დაიწყო მოქმედება. ჩუნდითფუს მასლობლათ მან დაამარცხა ჩინეთის მუდმივი ჯარისკაცი ამბავი რომ ვადდერსკემ შეიტყო, ლიხუნხანგს დამუქრავ კერძონელ ჯარს გაგზავნა იქა.

### წერილები ბელგიიდან

პოლიტიკური პარტიები და მათი ძალ-ღონის განაწილება პარლამენტში. — ბრძოლის სამზადისი საერთო, თანასწორი საარჩევნო უფლების მოსაპოვებლათ. — სამინისტროსა და კლერიკალური პარტიის გაჭირვებული მდგომარეობა. — „ჩინეთის კითხვა“ ბელგიაში. (დასასრული. — იხ. № 19).

დასასრულ ორიოდე სიტყვა საგარეო პოლიტიკიდან. სახელდობრ, როგორ შეხვდა ბელგია ომიანობას ჩინეთში? 1).

ბელგია ეკუთვნის იმ ქვეყნებს, სადაც კაპიტალისტური წარმოება უაღრეს წერტილამდე განვითარებული. ბელგია სხვებზე ნაკლებ არ საქიროებს უცხო ქვეყნებთან საწარმოვო და სააღმშენებლო ურთიერთობას. მისი ექსპორტები (გატანილი საქონელი), კერძოთ ჩინეთში, უდრის 17 მილიონ ფრანკს. გარდა ამისა დიდ ძალი კაპიტალი აქვთ დაბანდებული იქაურ წარმოებაში 2). ცხადია რომ, საერთაშორისო კონცერტისათვის აქედანაც უნდა მიეცათ ბანი. გავარდა თუ არა ჩინეთში თოფი, ბელგიის ბურჟუაზიამაც დასცა საყვირი: „ჩვენებსა ჰხოცავენ“, „ცივილიზაცია განსაცდელშია“. როცა ევროპის ჯარებმა შეანგრიეს ჩინეთის კედელი, ამათმა მოუსვენრობამ კიდევ უფრო იმატა და ბოლოს დაიძახეს: ევროპიელთ უნდა ჯარი მივაშველოთო. მარა აქ წამოდგა ერთი დაბრკოლება, რომელმაც მთავრობა და ბურჟუაზია — მეტი რომ არა ვთქვათ — ძლიან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. საქმე ასე იყო. ბელგიას, როგორც ნეიტრალურ ქვეყანას, არ შეუძლია ევროპის სახემწიფოთა ნება დაურთველათ ფეხი გადადგას თავის სამზღვრებს იქით. მას არ შეუძლიან მუდმივი ჯარი ამოძრავს უცხო ქვეყნების დასაპყრობათ თუ კოლონიების შესაძენათ. ეს გარემოება, საზოგადოთ, ძალიან ამ-

1) რაც შეეხება ტრანსვაალის ომს, გეცოდინებათ, რომ მთელი ბელგია წინააღმდეგი იყო ამისა. ყველანი ერთმანთ ჰგმობდნ ინგლისს, მოტივები ყველას თავ თავისი ჰქონდა. ბურჟუაზია არაფერს იგებდა ტრანსვაალის დამარცხებით და სარგებლობდა შემთხვევით თავი მოუპოვრესიტებინა. მუშათა პარტია ჰგმობდა ინგლისის მთავრობას, რადგან აღიარებს, რომ როგორც აღამიანის თავისუფლება, ისე ერის თავისუფლება და დამოუკიდებლობა ზღვრულად და წმინდა. თებერვალში პარლამენტმა რეზოლიუცია მიიღო, რომლითაც ბელგიის მთავრობას ვვალუბა თავს იღვას მოლაპარაკება, რათა ომი სამედიატორო მორიგებით გათავდეს.

2) ზოგიერთი გაზეთების სიტყვით ამ ფულიდან 1 მილიონს ჩამოვიდა თვითონ მეფე, რომელსაც საჭუთარი კაპიტალი აქვს მოთავსებული ჩინეთის წარმოებაში.

წუხრებს აქაურ ბურჟუაზიას. წინაზე, პარლამენტში ერთ-  
მა მემარჯვენე დეპუტატმა (ლევო) ასე „დაიქვითინა“:  
„იგი (ნეიტრალიზაცია) არის გარანტია, რომელიც ჩვენ  
გვპატრონობს, (ქვეყნის დამოუკიდებლობა) მარა იმავე  
დროს ივია ბეგარა (servitibe), რაიცა ტვირთათ გვაწვე-  
ბა... ნეიტრალიზაციის წყალობით ჩვენთვის სამუდამოთ დახ-  
შულია სამხედრო დიდების კარი“. მიუხედავად იმისა,  
რომ კარი დახშულია, ბურჟუაზიამ მაინც მოიწადინა მი-  
სი გაღება; დაუწყო კაკუნნი, რაკი არ შეეძლოთ მუდმი-  
ვი ჯარით ესარგებლათ, შეუდგენ „ვოლონტიორების“  
(ნებაყოფლობით დაქირავებულ მეომართა) რაზმის შედ-  
გენას. ამ საქმის თაოსნობა—მთავრობის ნება-რთვით—  
იკისრეს ბრიუსელის, ლიეჟის, გენტის და ანტვერპენის  
ბურგმესტრებმა. მოკლე დროში შედგა რაზმი 3 ათასი  
„ვოლონტიორისაგან“, დამზადდა გემები, სურსათი, 2  
მილიონი ფული<sup>3)</sup>, შეკრებილი ხელის მოწვევით სხვილ  
კაპიტალისტთა შორის. ამ გვარი საქმე გაიჩარხა და სწო-  
რეთ ამ დროს ევროპის სახელმწიფოთ შემოუთვალეს,  
გერმანიის მთავრობის პირით, ჯერ-ჯერობით მეომართა  
ახალ რაზმს არა ვსაჭიროებთო. გაცრუვდა იმედი, „სამ-  
ხედრო დიდების კარი“ დახშული დარჩა. ამ საქმის გა-  
მო პარლამენტის მიმდინარე სესსიაზე მემარცხენე დე-  
პუტატებმა „ინტერპელაცია“ შეიტანეს, მთავრობას პა-  
სუხი მოსთხოვეს. მუშათა პარტიის დეპუტატთა სახელით  
სიტყვა წარმოსთქვა ანტუან დელოზორტმა. როცა შეეხო  
ომის მიზეზებს, მან სხვათა შორის სთქვა: „სიმართლე  
იმაშია, რომ ევროპის სახელმწიფოთ სურდათ დაეწყათ,  
ანუ უკეთ, განეგრძოთ ჩინეთის განაწილება... თქვენ  
გინდათ ზარბაზნების საშუალებით მისცეთ ჩინეთს თქვენი  
აზრი და ცივილიზაცია; მერე რატომ არ ხმარობთ მშვი-  
დობიან ზომებს, აი, მაგ., ლევიგისტონმა ბარბაროსული  
აფრიკა მოვლო და ერთი წვეთი სისხლიც არ დაუღვრია;  
თვით ჩინეთი ძალიან კარგათ დებულობს ევროპიელ მე-  
ცნიერთ, მკვლევართ და ვაჭრებსაც... მაგრამ თქვენი მი-  
ზანი სრულგებთაც არ არის ცივილიზატორული; სიმარ-  
თლე ის არის, რომ ევროპის კაპიტალისტებს სურთ დაე-  
პატრონონ უშველებელ იმპერიას; მათ სწყურიათ იაფი  
მუშა ხელი და დიდი ბაზრები თვისი ნაწარმოებისათვის“. მემარცხენე დეპუტატები თხოულობდნენ, რომ პარლა-  
მენტს კიცხვა და საყვედური გამოეცხადებია მთავრობი-  
სათვის, მაგრამ კლერიკალურ და ლიბერალურ უმრავ-  
ლესობამ მიიღო სხვა რეზოლიუცია. ეს ქებით იხსენიებს  
„იმ პატრიოტულ გრძობებს, რომელთაც იფეთქეს ბელ-  
გიაში, გამოცხადდა თუ არა, რომ ჩვენი (ბელგიელ კა-  
პიტალისტების) ინტერესები ჩინეთში განსაცდელს ეძლე-  
ოდა“.

რაკი ბელგიის ბურჟუაზიამ ვერ შეიძლო თვისი „პა-  
ტრიოტული გრძობები“ საქმით დაემტკიცებინა, მიმარ-  
თა ჟურნალ-გაზეთობას, რომ სიტყვით მაინც მოიოხოს  
გული. კლერიკალური და ლიბერალური პრესა ქება-დი-  
დებით იხსენიებს იმ მაღალ ცივილიზატორულ მისსიას,  
რომელიც ევროპის სახელმწიფოთ და მათ ჯარებმა იტვირ-  
თეს ჩინეთში. ხოლო ზოგჯერ-კი ასეთი ღაღადიდან უნე-  
ბურათ გამოკრთის პესსიმისტური ნოტა. ეს მომდინარე-

<sup>3)</sup> სხვათა შორის ბელგიის კაპიტალისტები იქ აშენებენ ამ  
ქამათ რკინის გზას ჰეკინიდან ჰანკეუმდე, გზის თითო კილომეტრი  
ჯდება 130,000 ფრანკი. მთელი გზა ედირება 150 მილიონი.

ომს ორგვარი მიზეზისაგან. ერთი, რომ ოპოზიციონერულ  
პრესსა დღე მუდამ აქვეყნებს იმის მაგალითებს, თუ რა  
გასაოცარი ბარბაროსობით ეპყრობიან ევროპიელი ჯა-  
რები ჩინელთ: ქალაქების აოხრება, სოფლების დაწვა,  
ხალხის ჟლეტა, ბავშვების დაწოკება, ქალიშვილების  
გაუპატიურება და სხ. და სხ. ბურჟუაზული პრესსა გულ-  
ნატყენათ აღნიშნავს, რომ ცივილიზაციის გავრცელება  
მსხვერპლს ითხოვს. მსხვერპლი-კი იმდენათ დიდია, რომ  
იგი მილიონ და მილიარდ ფრანკებათ აღინიშნება ბიუ-  
ჯეტში. პესსიმისმი მერე მიზეზი კიდევ უფრო ღრმა  
არის. იგი იმალება თვით კოლონიალურ პოლიტიკაში.  
განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები საჭიროებენ  
ახალ-ახალ ადგილებს, საჭიროებენ ფართო ასპარეზს, რომ  
სავსებით ამოძრავონ თვისი უსაზღვრო საწარმოვო ძალები.  
ასეთი ასპარეზის ერთათ ერთი მომცემია უკან ჩამო-  
რჩენილი ქვეყნები. მაგრამ ევროპის კაპიტალი ევრც-კი  
ასწრობს იქ დაბინავებას, რომ ესენი დგებიან საკუთარ  
ფეხზე, თვითვე ევროპიელდებიან და კონკურენციას უცხა-  
დებენ მეტროპოლიას. ამის ერთ თვალსაჩინო მაგალითს  
იძლევა იაპონია, ევროპის სახელმწიფოთა დღევანდელი  
მოკავშირე ჩინეთში. ამის შესახებ საინტერესო წერილი  
დაბეჭდა ამ დღეებში ერთმა ლიბერალურმა გაზეთმა  
(„Etoile Bege“, № 71, „Chine et Japon“). ავტორი აცხა-  
დებს, რომ მას 24 წელი გაუტარებია შორეულ აღმო-  
სავლეთში, კარგათ იცნობს ადგილობრივ პირობებს და  
სერიოზულ ყურადღებას ითხოვს მკითხველისაგან. იგი  
კითხულობს—„იაპონელი ჩვენი (ე. ი. ევროპიელთა)  
გულ-წრფელი მეგობრები არიან თუ არა?“ და გადაჭრით  
უპასუხებს—„იაპონელთ არ შეუძლიანთ ჩვენი მეგობრე-  
ბი იყვნენ! აი, არსებითი ჭეშმარიტება და ვაი, რომ ახ-  
ლო მომავალი დაგვიმტკიცებს კიდევ, თუ რამდენათ სა-  
ფუძვლიანია ეს! შემდეგ ავტორი ასე განმარტავს თავის  
აზრს<sup>4)</sup>. პატარა იაპონელი, მალხაზნი, მხიარულნი, მშვი-  
დი, წყნარი ზნე-ჩვეულების, სუბუქი, პოეტური ფანტა-  
ზიის, ნაზი ხელოვნების მექონენი, ეს—წარსულია; ხალ-  
ხი შორს-გამჭვრეტი, მახვილი გონებიანი, გაშმაგებული  
მადის, სისხლის მსმელი ინსტიქტების მექონე, მუდამ ახალ  
ქვეყნების დაპყრობის მოსურნე, აი—აწმყო. თანამედრო-  
ვე იაპონია უმაგალითო შემთხვევას იძლევა იმისას, თუ  
როგორ უცხათ სხვაფერდება რასა, როგორ უარპყოფს  
იგი თავის ტრადიციებს და ითვისებს ევროპიულ შეხე-  
დულობას და იდეალს, რომლის განხორციელებას ელ-  
ტვის შესანიშნავის ენერგიით და ურცხვობით (sans re-  
merde ni serupules). იაპონიამ ოც წელიწადში დასწვა  
ის ეტაფები, რომლის გავლას ჩვენ (ევროპიელთ) მთელი  
საუკუნე მოვანდომეთ. იაპონია უკვე ახალი სახელმწი-  
ფოა. იგი ნაყოფია ევროპის და ეს ნაყოფი დიდ უზბედუ-  
რებას გვიქადის მომავალისთვის. უკვე გაისმის ბრძოლის  
საყვირი: „აზია ყვითლებსო!“ ეს ნიშნავს: ევროპიელნი  
გარეკილ იქმნან აზიიდან, შედგეს აზიის უმთავრეს სახელ-  
მწიფოთა კოალიცია (კავშირი) იაპონიის გეგმონით  
(უფროსობით). მაგრამ ამის განსახორციელებლათ მათ  
კიდევ ესაჭიროებათ უცხოელთა კაპიტალი, ესაჭიროებათ  
ევროპიელთა დახმარება. და აი, ავტორიც აფრთხილებს

<sup>4)</sup> მოგვყავს დედა-აზრი თითქმის სიტყვა-სიტყვით, რომ ვა-  
ჩვენათ მკითხველს, თუ როგორია კაპიტალისტის პსიხოლოგია ამ  
გვარ შემთხვევაში.



# ეფემიას ოცნება

(შემდეგი.—იხ. № 19)

რ.

—უკანასკნელთ და ასე აბოლოებს წერილს: საჭირ-ბოროტო კითხვა ასეთია: მზათა ვართ თუ არა გამოვიდეთ აზიიდან? თუ ჰო, მაშ დავანებოთ იაპონიას, რომ კიდევ უფრო მეტათ ვაიზარდოს და ვალონიერდეს; თუ არა, უნდა ეხლოვე შევეცადოთ, რომ სათავეშივე ჩავკლოთ იაპონიის მოზარდი ძალა. უნაყოფო ოცნება! დავძენთ ჩვენ ჩვენის მხრით. არამც თუ იაპონიას ვეღარსადან ვერ მოვევლება, თვით ჩინეთიც—დღეს უბედური—უნდა გაჰყვეს იაპონიის გზას, ე. ი. გავვროპიელდეს იმავე ევროპიელთა დახმარებით. ეს აუცილებელი პროცესია და ეს აუცილებლობა ბურჟუაზიის ერთათ ერთი ნუგეშინი, თუ შეუძლიან ამას ვისიმე ნუგეშის ცემა. როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების თვით საფუძველი, ისე საგარეო, კოლონიალური პოლიტიკაც ორ-პირი იარაღია. იგი აძლევს ბურჟუაზიას თავისუფალ ასპარეზს, ზრდის მის ძალ-ღონეს, აღფრთოვანებს და იმავე დროს აპატარავებს მის სამოქმედო სფერას, აცოტავებს მის სასუნთქვე ჰაერს და აი, ამგვარათ ახლოვდება კაპიტალიზმის დიდი სოციალური კრიზისი, დასაბამი ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ლ. დ.

ბრიუსელი.

## გამხალისებელი ძალა.

ქვეყანა სიციხისაგან  
ერთიან დაიდაღა,  
დაზარმაცდა, დასუსტდა,  
გამოეცა და ძაღა.—  
ხემ უურები დაჭკიდა,  
ბაღასს ფერი ეცვალა,—  
გზა მტვრით შეხუთულია,  
ნიაფიც დაიმაღა...  
მაგრამ გაჩნდა დრუბელი,  
შხანუნა წამოვიდა,—  
გახარა უფველი,  
რახეც-გი გადმოვიდა...  
გამოცოცხლდა ქვეყანა,  
შეიმოსა კვლავ ძაღა;  
ხემ, ბაღასმა და გზამა  
სახე გამოიცვალა.  
მხიარულათ, ჯანსაღათ  
გიუურებს, შემოცინის,  
ნიაფიც ჭყარს აკმევს,  
თითქოს ისიც გიდიმის...  
წინანდელ ბუღის ნაცვლათ  
სიგრიდელ ჩამოსახლდა,  
სუნსელებს იფრქვევა,  
გულს სხივი გაგვიანლდა.  
ამგვარათ შრამის შვიდიც  
ხადისდება, ცოცხლდება,  
ახლდონის ჭანკებსა  
რაცა დაეწაფება.

დ. ნახუცრიშვილი.

გვარის წერა ერთი თვით გადასდევს, რადგან გიორგიმ თფილისს წასვლა დააპირა; „ისეთი საჩქარო საქმე მაქ, რომ ახლა არ წავიდე, შეუძლებელია; მალე დაბრუნდები, საგვირგვინო მორთულობასაც ჩამოვიტან; აქ ნაყიდი ხომ მაინც არაფერი ვარგა ჯვარის წერისთვისო“—დაარწმუნა მან ყველანი.

თეკლემ, სასიძოს პატივსაცემლათ, სადილი გამართა და მიიწვია გვიმბრიანის საპატია პირნი. გიორგისთან ერთათ, რასაკვირველია, ანწლადებეც იყვენ მიპატიჟებულნი. მათ გზაზე ყანა ჰქონდათ გასავლელი. ნაწვიმარი დილა იყო. წვიმისაგან დამძიმებული ღომის თავთავები თითქმის მიწამდის დახრილიყვენ და შეეკრათ ისედაც ვიწრო საქვეითო გზა. წყერის-ფეხაც კარგა წამოზღილიყო ყანაში. დაუსველებლათ გავლა შეუძლებელი იყო.

—მუაწიეთ რავაცხა, მარა პაწი კი დასოლდა აი ჩემი ძამიეი,—მხიარულათ შენიშნა ელენემ, როდესაც მასპინძლები გამოეგებენ სტუმრებს.

—ცოტა დაგვნამა ამ პრასპეტზე,—იხუმრა გიორგიმ და ხელი ყანისკენ გაიშვირა.

—ჩემი სიკვდილი!—წამოიძახა ეფემიამ, როდესაც გიორგის დასველებულ ტანისამოსს შეხედა.—ქე გაფუქებულა!

—ჯავრი არ მომეცა! გაფუქდა—ახალი იშოვება!—დაუმატა გიორგიმ: ფულის საქმე არ არის!..

—რომ გამხსენებოდა მე სასიკვრილეს, ქე გავათოხნიებდი გზას...—დაიწყო თეკლემ.

სტუმრები აივანზე ისხდენ და სხვა-და-სხვა ხილველობას შეექცეოდნენ. ამ დროს ეზოს ვილაც ხანში შესული კაცი მოადგა.

—წადი, ცავ, შეიყარე!—გასძახა თეკლემ პატარა 9—10 წლის „მოზარებულ“ ქალს. ბავშვი მალე დაბრუნდა და რაღაც წასჩურჩულა ყურში თეკლეს.

—ვაიმე, ღმერთო მომკალი!—ღიმილით სთქვა თეკლემ: ლაზარაი ხმობილობს თურმე გიორგის, რაცხა ქახალდი მაქ წასაკითხავიო.

—რა ქახალდი დიემართა ახლა იმას! რომ აღარ გააჩნიან აღარც დროი და აღარც რამე! არაფერ კაცს არ მიერიდებიან, იმფერი არიან!—გაჯავრდა ეფემია.

—ჯერეთვე რომ ასე უფთხილდები და გეცოდვება შენ მაი, მერე რაღას იზამ!—სიცილ-კასკასით შენიშნა ელენემ.

ამ სიტყვებზე სხვებსაც გაეცინათ.  
—იმიზა არ ვჩივი ოჯო... ასე იციან ყოლიფერზე...—წარმოსთქვა შექარხლებულმა ეფემიამ.

—ნეტავი არ მესწავლა ეს წიგნი! მოსვენება არ არის არსად, ყველას ვინ ვასტობა: ზოგი დაწერას გთხოვს, ზოგი წაკითხვას...—აღარ დაასრულა გიორგიმ და ლაზარესკენ წავიდა; მოხუცმა მძიმეთ თავი დაუკრა მას და რაღაც ბარათი გადასცა.

—ახირებულა ამ ყრუ ხალხის საქმე!—ღირსებით დაიწყო გიორგიმ დაბრუნების შემდეგ:—სულ უბრალო რაღაცას დიდ რამეთ თვლიან, გროშათ რომ არ ღირდეს,

ძალიანი ვაჟნი გონიათ და შეაწუხებენ ყველაფერს და მართლა საყურადღებო საქმე რომ იყოს, კი არ მიაქცევენ ყურადღებას, ვერ მიხთებიან, არ აქვთ გარჩევა!

აღმოჩნდა, რომ ლაზარეს წერილი მიეღო შეილისაგან, რომელიც სადაც შორეულ ქალაქში მუშაობდა; წერილის ბოლოს მას რუსულათ მოეწერა თავისი გვარი და იმ ადგილის სახელი, სადაც თითონ ცხოვრობდა. სწორეთ ამ ორი სიტყვის წაკითხვას და გადათარგმნას სთხოვდა გიორგის მოხუცი ლაზარე.

გიორგი მეორე დღესვე მოემზადა წასასვლელათ. ეფემიამ და თეკლემ მოისურვეს მისი გაცილება; გიორგის ბიძაშვილებიც აღარ ჩამორჩენ მათ. გემრიელ საუზმის შემდეგ ცხენებით გასწიეს მახლობელ რკინის გზის სადგურისაკენ.

ახალ დანიშნულნი საგანგებოთ დაქირავებულ ცხენებზე ისხდნენ. ენკენისთვის მშვენიერი დილა იყო. მგზავრები სიამოვნებას გრძნობდნენ და მხიარულათ მუსაიფობდნენ.

— როის მიხვალ იქინეი ამ საღამოს წასული? — ჰკითხა ვიღამაც გიორგის.

— ხვალ დილით.

— კი, მარა რაფერ გაძლებ მთელი ღამე მაშინაში ლძინარი?

— რა დამიშლის ძილს?

— იქინეი ძილი კი არა, დასაჯდომი ადგილი თუ იშონება არ მგონია. — შენიშნა ეფემიამ: — ერთიგზობა შევიხედე შით და ტევა არ იყო, ისე იყვენ ამოშუშებული.

— სად, მესამე კლასში? ღმერთმა დაიფაროს! იაფ ფასიანი ყველაფერი ასეა; ხალხი აწყტება, იმიტომ არც ებოდისებიან: იმდენს შეყრიან შით, რომ ფეხზე დასადგომი ადგილიც არ არის; ისეთი უსუფთაობა და გლახა სუნია... წაუსლელი რომ ვრჩებოდე, იქ მაინც არ შევალ. პირველი კლასის ვაგონები რომ არ იყოს პოეზდში, არ ვიცი, რა ეშველებოდა კაცს! მოსვენებით მგზავრობა გინდა, ფულსაც არ დაინანებ, დაიქერ მთელ კუპეს და ხარ თავისუფლათ, არავინ არ გაწუხებს. იქ რბილი საჯდომებია, როგორც გინდა, ისე მოისვენებ.

ამასობაში ჩვენმა მგზავრებმა კაი მანძილი გაიარეს და შეუმჩნევლათ მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც მასსათფლო გზა თავდაღმართში მიდის და დიდ მანძილზე გადაჰყურებს პატარა დელის დაცემულ ხეობას. აქ, ნიგვზის ძირში, ცხენოსნებმა შენიშნეს რამდენიმე ქალი და კაცი. ერთი მანდილოსანი, მზეხა, მაშინვე წამოვარდა ზეზე.

— აგია სტორეთ! მისი ჭირიმე! აღარ დააცალა მან ცხენოსნებს გაჩერება, მივარდა გიორგის და მოეხვია მას ფეხებზე.

— რა საჭიროა... — დაიწყო გიორგიმ.

— შენ გენაცვალე! რაფერი ბედნიერი ყოფილა ჩემი ეფენიე! ღმერთს ვმადლობ, მოწყალეს! — არ ცხრებოდა აღტაცებული მზეხა.

მზეხა ეფემიას მამიდა იყო. ის ვერ დაესწრა ძმისწულის ნიშნობას, რადგან ეს საქმე ნაჩქარევათ მოხდა. შემდეგ თეკლემ ყველაფერი შეატყობინა მუღს.

— აბა გავყვით ახლა შინისკენ, შორ კი არ ვარ აქედგან, — მიიწვია მზეხამ სტუმრები.

— გიორგიმ იცის, — ღიმილით შენიშნა ელენემ.

— რომ დრო მქონდეს, დიდი სიამოვნებით შემოვიღებ! — რომ პოეზდით არ წავიდე, არ შეიძლება! — სთქვა გიორგიმ.

— თავს მევიკლავ, იცოდეთ! ღმერთმა ჩემი ეფენიის დანიშვნა მაღირსა და ერთ ღამეს არ მაჩუქებთ, აბა რას იზამთ! ხვალეც კი გამეიარს იგი მაშინა. შენ სცხუე, მამიდა, შენი ხათრიზა მაინც დათმინოს ერთი სადილი ჩემსას, — მიმართა მზეხამ ეფემიას.

ის დღე მხიარულათ გაატარეს სტუმრებმა, ბევრი სიამოვნეს; მასპინძლობაც საგანგებო იყო. შუალამემდეგ სუფრა გაშლილი იყო. ცეკვა-სიმღერა არ შეწყვეტილამანამ კარგა შეზარხოშებულ გიორგის არ ჩაეძინა.

მეორე დღეს, შუადღისას, რკინის გზის სადგურზე იყვნენ. ხარი დაირეკა. ხალხი კასას მიაწყდა. ყველა ცდილობს ადრე აიღოს ბილეთი და დროზე მოემზადოს. მალე მატარებლის სტვენაც მოისმა, შეიქნა ფაციფუცი-მგზავრებმა ბარგი ბაქანზე გამოალაგეს და გულის ძვებით მოელიან მატარებელს: ხუმრობა არ არის ვაგონში ბარგით შესვლა და მოხერხებული ალაგის დაქერა. ეფემიას გულმა ბაგა-ბუგი დაუწყა. სადგურის უფროსიც გამოვიდა. მატარებელმა ახლა სულ ახლო დაიკვილა და ხენეშით, აუჩქარებლათ, ბაქანს მოადგა. ხალხი დაიძრა და ვაგონებისკენ გაექანა. გიორგიმ პირველი კლასის ვაგონი მონახა.

— ჩვენ ხომ შამოგვიშობენ შით? — იკითხა ელენემ.

— მაშ! ჯერ არ წავა, ნუ გეშინიათ, — მიუგო გიორგიმ.

მანდილოსნები შევიდნენ ვაგონში; იქვე შეიტანა მუშამ ლამაზი ტყავის ჩემოდანი და სხვა-და-სხვა რჩეულით ხილით სავსე კალათი, რომელიც მზეხამ უკან გაადევნა გიორგის.

— რაფერი მოწყობილი ყოფილა! — გაიკვირვა ეფემიამ, როცა თვალი მოავლო ლამაზათ მორთულ ვაგონს. ის ხედავდა, რა მოუტირებლათ და სასტიკათ ეპყრობოდნენ მგზავრებს, რა გაჭირვებას იტანდა ხალხი ვიწროობის გამო. ეფემიამ დაინახა, რომ კანდუქტორმა საფეხურიდან გადმოავლო ერთი ხურჯინიანი მგზავრი, რადგან ის იმ ვაგონში შესვლას აპირებდა, რომელსაც ისედაც ბევრი ხალხი აწყდებოდა. გიორგი კი თავისუფლათ შებრძანდა მშვენივრათ მოწყობილ ვაგონში, სადაც საპატიო, რჩეული მგზავრები ისხდნენ; მას წინ არავინ გადაელობა, პირიქით, სწორეთ იმ კანდუქტორმა, რომელმაც ის ბედშავი მგზავრი ძირს დასცა, მორიდებით გაულო გიორგის კარი. ახლა ეფემიას თვალში გიორგის კიდევ უფრო მოემატა ფასი და ყმაწვილმა ქალმა თავი ბედნიერათ წარმოიდგინა... ამასობაში ხარიც დაირეკა და ხალხში ჩოჩქოლი ასტყდა. გიორგიმ საჩქაროთ ხელი ჩამოართვა ყველას და ეფემია გადაჰკოცნა. ქალი შეკრა, დაიბნა და მთლად გაწითლდა; ერთწამს თეკლესაც ეუცხოვა გიორგის მოულოდნელი ქცევა, მაგრამ გაიფიქრა: „უთუოთ ასე იქნება მიღებული განათლებულლებშიო“ და ისევ დამშვიდდა. ჩვენმა მანდილოსნებმა გიორგის კეთილი მგზავრობა უსურვეს და საჩქაროთ ჩავიდნენ ძირს. უკანასკნელათ დაირეკა სადგურის ხარი. ორთქლმავალმა რამდენჯერმე მძიმეთ ამოიხვნეშა; მატარებელი ჯერ ნელ-ნელა დაიძრა, მერე თანდათან უმატა მსვლელობას და თვალის დახამხამებაში გაჰქრა.

ორი კვირის შემდეგ ეფემიამ შემდეგი შინაარსის



წერილი მიიღო გიორგისაგან:

„შორიდგან ყოველ მინუტში სახსოვარო და საგონებლო, მხოლოდ ახლოდგან თქვენის მალე ნახვით აღუწერელ მხიარულებაში მომყვანლო ჩემო ეფემია! ყოველის შემძლებელ ღვთაებას ვთხოვ შენს კეთილ სუფევას. მე დიდი ხანია გამოამიწვია სურვილმა თქვენი ნახვისა, მაგრამ რას ვიზამ, უნდა ვემორჩილო განგების ნებას. როგორც ყოველთვის, ისე ახლაც მოსვენებით და კარგა ვიმოგზავრე. ყველა გამეცნა, ვინც იმ ვაგონში იყო. ტიფლისში ასლამდი მუსაიფში და ხუმრობა-ასცილში გავატარეთ დრო. იქ რომ მსხვილი ღერენალი იჯდა, იმან სადილზე მიპიპატიეთა. დენჩიკებს უბძანა სუფრის გაშლა. სხვა-და-სხვა საჭმელ-სასმელი ბევრი კარგი რამეები ქონდა წამოდებული. ისე დამიმეგობრდა, რომ სახლშიც ბევრი შევატყუა, მაგრამ ვარი ვუთხარი, დრო არ მქონდა. ვაგზალზე ყველამ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. მე ჩემი მოსამსახურე დამხთა იქ და რიზინის ფაიტონით წავედი სახლში. აქ საქმეები ბევრი მაქ, რომელიც უჩემოთ გაჩერებული ყოფილა, მაგრამ იმედი მაქ, დროზე გავათავებ და წამოვალ. შენთვის ბევრი რამეების ზაკაზი მივეცი მოდისტებს. აბა ნახვამდის, ჩემო მტრედო. დედა ელენე და ყველა ჩვენები მომიკითხე.

შენი განუყრელად გიორგი“.

თუმცა გიორგი ყოველ დღე ახალ-ახალ რეკლამებს აბეჭდვინებდა, მაგრამ მისი საქმე მაინც ცუდათ მიდიოდა; ამხანაგი მხარჯავი გამოადგა. მეტი გზა არ იყო: გიორგის როგორმე საკუთრათ უნდა დაეხსნა სასტუმრო. მაგრამ თავი და თავი საზრუნავი, რომელიც გიორგის მოსვენებას არ აძლევდა, იყო ბანკის ვალის გასწორება და სახლის ქირის გადახდა. სად და როგორ უნდა აღმოეჩინა მას ამ ხელათ საჭირო საშუალება,—აი, ეს იყო მეტად მწვავე კითხვა... ამ გარემოებაში სოფელში წასვლა შეუძლებელი იყო. „მდიდარი უნდა იყო და მაგისტანა ცოლი გყავდეს, ცხოვრება მაშინ მითხარი“,—ფიქრობდა გიორგი ეფემიას მოგონებაზე:—„მარა ყველაფერს ბედი უნდა! ზოგი ისე ადვილათ იძენს ქონებას, მილიონის პატრონი ხდებიან და ჩემ საქმეს საშველი არ მიეცა!.. საცდელი არ დამიკლია; ერთ ჩემი ხნის კაცს არ გამოუცდია ჩემდონი დავიდარაბა... ორი გროშით დავიწყე საქმე... ნუ გენაღვლება, ზოგიერთებსავით არაფერი დამჩენია მამისაგან; ფაცხას არ შორდებოდა, რომ გარეთ გასულიყო და ცოტა რამე ეშონა“. „წავალ, ჯვარს დავიწერ და მერე რაც იქნება“...—ხანდახან გაუელვებდა გიორგის,—მარა, როცა თავის მდგომარეობას წარმოიდგენდა, წელი წყდებოდა: „ქვეყანაზე კაცს მიძახიან, ახლა რომ ქონება ამიწერონ და ციხეში ჩამსვან, ხომ საუკუნოთ თავი მომეჭრა, მაშინ ხომ სამუდამოთ წაგებული იქნება ჩემი საქმე; მარტო ნეუსტოიკას ვინ აუვა. ან ეფემია რაღას იტყვის, მე რომ ასეთ ყოფაში ჩავვარდვი; მაშინ მისი მოსაწონი ხომ აღარ ვიქნები“... აი რა აღონებდა გიორგის...

ნოემბრის დამდეგს გიორგი პინტილიანის ოთახში იჯდა ერთი თფილისში დაბინავებული ხანში შესული იმერელი.

—სახლი დიდი არაა, მაგრამ 200 საყენი მიწაა, თავისუფალი, ერთი კაბიკი ვალი არ აქ. 1800 თუმანი უძლევიან; ის რომ გალავინსკის პრასპექტზე იყოს, რა-

ტომ ნახევარი მილიონი არ ეღირება,—დაიწყო მან ლაბარაკი.

—მაგისტანა საქმეს თუ იზამს კაცი, რამე დიდი სარტა უნდა იყოს. იცი, რა მშვენიერი ქალი მეძლევა მე იქ? მთელ ქალაქში ვერ შეხთები...—შენიშნა გიორგიმ.

—ახლა შე დალოცვილო!.. იქაური ქალი რა ხეირს დაგაყრის. შენ რომ გინდა, იმას იქ ვერ იშონი, მე ვიცი... შენი ნებაა! როგორც გსურდეს, მე ხომ არ გეხვეწები; მიტომ გეუბნები, რომ შენ მთხოვე და მინდა დაგეხმარო, ჩვენი ქვეყნის შვილი ხარ... შენთვის ძალიან სასიამოვნო თუ არ არის, მე სხვები მეხვეწებიან მაგ საქმის გაკეთებას: მაგას მუშტარი ბევრი ყავს; ხუმრობა ხომ არ არის მაგოდენა ქონება. შეიძლება დაგვეცილონ კიდევ. მე იმისი იმედი მაქ, რომ მოხუცი ჩემსავით სხვას არ ენდობა: მე იმის ქმრის კარგი ნაცნობი ვიყავი; პირველათ რომ ქალაქს ჩამოვედი, მას აქეთ ვიცნობდი.

—არა, ნუ გეწყინება, ისე ვთქვი. მეც იმიტომ მოგმართე, რომ ჩვენებური ხარ და იმედი მქონდა. ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ საიმედო იყოს. ჯვარი რომ დავიწერო და მერე ცარიელზე დავრჩე...

—კაცო, რა სათქმელია! ერთი საწყალი დედაკაცია; ვინ იცის დღეს-ხვალ მოკვდეს კიდევ. „ეს ერთი შვილი მყავს; ამის ქმარმა მეც უნდა მიპატრონოს და შემითვისოს; ჩემი ქონებაც მათი იქნება; მე ხომ თან არ წავიღებო“. ისეთი ადამიანი არ არის, რომ სიძეს აწყვიწნოს; თუ კარგა შეახედებ თავს, იქნება ამ თავითვე დავიდტიკოს...

მეორე დღეს გიორგი წავიდა ქალის სახანავათ. ორსამ დღეში საქმე გათავდა და ჯვარის წერაც მოხდა.

სიძემ ადრე მოიბოვა სიღედრის ნდობა და სიყვარული; თავაზიანი ქცევით და მოხერხებით გიორგიმ ერთიანათ მოინადირა მოხუცის გული, მალე დაიმტკიცა სახლი თავის სახელზე და ბანკშიც დაავიწავა. ამ რიგათ გიორგიმ გაასწორა თავისი საქმეები და წელში კარგა გამაგრდა, მაგრამ ის კმაყოფილებას მაინც ვერ გრძობდა: „რა გასაჩენი იყო მაგნაირი... ფუ!.. ქალი კი არა... არა, რა იფიქრეს მაგ სულელებმა... მაგრამ, თუ უკაცრავათ დავრჩე მასთან, თავს დააბრალოს; რა ჩემი ბრალია, რომ ის უშნო გაუჩენია ღმერთს. მაგასაც ქალი ქვია და ეფემიასაც!.. ახლა რომ თავისუფალი ვიყო, ველარაფერი დამაბრკოლებდა! რომ შეიძლებოდეს, ახლა სულ სხვანაირათ მოვაწყობდი საქმეს... ვითამ რატომ არ შეიძლება? რას წააგებს? ცოტაა ასე ჯვარ-დაუწერელი კაი ცხოვრების გულისთვის? ტკბილ ცხოვრებას ახლა ყველაი აფასებს. ღარიბს არ მიყობაო, ეტყობა, ჭკვიანი ქალია, ალბათ ფულის გემო ესმის და იმიტომ არ უნდა სოფელში გათხოვება... მისთვის კი არაფერი დამენანება, ყველაფერს შევეუსრულებ, რასაც კი ისურვებს; რაც სიღარიბე გამოუცდია, სულ დავავიწყებ, ისე ვაცხოვრებ, რომ“... ამისთანა ფიქრები ხშირათ მოსდიოდა გიორგის თავში და თითქო რაღაც იმედს აძლევდენ მას, ეს იმედი ერთი-ორათ გაუძლიერდა გიორგის, როდესაც მას მოუვიდა ელენესაგან ცნობები ეფემიას შესახებ.

ლალიონ.

(შემდეგი იქნება)

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

რევანდელ საგანგებო კრების სხდომები 29 აპრილიდან 4 მაისამდის გაგრძელდა. კრებამ განიხილა ყველა მორიგი კითხვები, ზოგი თითონვე გადასწყვიტა, ზოგის გამოკვლევა სხვა-და-სხვა კომისიას მიანდო. მან დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე დამფუძნებელთა თანხის ბანკიდან გამოტანის შესახებ და ამ თანხის მოხმარების პროექტის შედგენა ისევ ცალკე კომისიას მიანდო, შეამუშავა და დაამტკიცა თავად-აზნაურთა მამულის გამგებლობის წესდების პროექტი, დეპუტატთა საკრებულოს საქმეების განსახილველათ კომისია აირჩია, დრამატიული საზოგადოების პრეტენზია დააკმაყოფილა... ერთი სიტყვით, ყველა ამ წლის საქმე მოილია.

სხდომების დაწყებებიანი ანგარიში თავის დროზე ყოველ-დღიურ გაზეთებში იბეჭდებოდა, ისე რომ ჩვენ გამოვარკვევთ მხოლოდ ამ კრებების საზოგადო ხასიათს, მის მომზადებულობას და მოუზადებლობას საზოგადო საქმეების გარდაწყვეტაში.

პირველ განსახილველ საგნათ კრებას ჰქონდა სარევიზიო კომისიის მოხსენება თავად-აზნაურთა მამულის გამგე კომისიის მოქმედების შესახებ. ამ დღეს ამრჩეველთა წინ წარდგენ მისგან არჩეულნი, კრება იხილავდა გამგეობის მოღვაწეობას და თავის მსჯავრი უნდა წარმოეთქვა მის მოქმედების შესახებ. სარევიზიო კომისია კრებას ეუბნებოდა, თქვენმა არჩეულებმა ვერ შეასრულეს რიგინათ თავის ვალიო, მოხსენებაში გადაჭრით იყო ნათქვამი: გამგეობა გადასცილდა იმ უფლებას, რომელიც მას თავად-აზნაურობამ მიანიჭა, იგი მოქმედებდა კრების დადგენილების წინააღმდეგ, როდესაც თეატრის გადაკეთებას შეუდგა და „უნიონს“ პირობით ეკვრებოდა. საქმის წარმოების დროს მან გამოიჩინა სრული უყურადღებობა და გულ-გრილობა, „უნიონთან“ შეკრულ პირობაში ვერ დაიცვა თავად-აზნაურობის ინტერესი. ახალი შენობა ერთი-ორათ დაუჯდა თავად-აზნაურობას, მას მამულის დამახინჯების და ფასის დაკარგვის მეტი არაფერი მოუტანია, „უნიონთან“ შეკრული პირობა იმდენათ საზარალოა, რომ მისი დარღვევა აუცილებელია, თუნდაც 60 ათასი მანეთის გადახდა დასჭირდეს აზნაურობას. ყველა ეს სარევიზიო კომისიას ციფრებზე და ფაქტებზე ჰქონდა დამყარებული, ყველაფერში ბრალი გამგეობის უყურადღებობას ედებოდა. ცხადია, თუ ეს მართალი გამოდგებოდა, გამგეობა კრებისაგან უნდა განკიცხულიყო, და თუ არა მაშინ სირევიზიო კომისიას მიდგომით უმოქმედნია. აქ გვერდის ახვევა შეუძლებელი იყო, კრებას თავის პირდაპირი მსჯავრი უნდა გამოეცხადებია. მაგრამ სწორეთ აქ კრებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ნათლათ თავის მოუზადებლობა საზოგადო კითხვებში. იქ, სადაც პირდაპირობა იყო საჭირო, მან მხოლოდ გულკეთილობა გამოიჩინა. მან ისარგებლა სარევიზიო კომისიის სიტყვებით, რომ კასაში ფული გაუფლანგავი არისო, და მადლობა გამოუცხადა ორივეს, გამგეობასაც და სარევიზიო კომისიასაც. პირველს მისთვის, რომ მან თავად-აზნაურთა ქონება უნაკლულათ შეინახა, მეორეს მისთვის, რომ „მოხსენება“ შეადგინა. ასე გამოვიდა გაჭირვებისაგან კრება და არ მოინდურა არც ერთი. მას არ მოუთხოვია გამგეობისაგან გასამართლებელი საბუთები, არ გამო-

უკვლევია ფაქტების სისამდვილედ, თუმცა ერთი გამგეობის წევრთაგანი (თავის თავათ და არა გამგეობის მინდობილობით) ამტკიცებდა, ეს ფაქტები რევიზორთაგან სწორათ არ არის მოყვანილიო. მაშ რაღათ ნიშნავდა კრება სარევიზიო კომისიას? ნუ თუ მარტო კასის შესამოწმებლათ? რაღათ ისმენდა მის მოხსენებას, თუ ამ მოხსენების უმთავრეს საგანს უყურადღებოთ დატოვებდა? რისთვის უცხადებდა მას მადლობას? კიდევ ერთი კითხვა უნებურათ ებადება კაცს გულში კრების ანგარიშის წაკითხვის შემდეგ: გამოიჩინდა თუ არა კრების თვითნული წევრი თავის პირად საქმეში ისეთსავე გულკეთილობას, როგორც ამ საზოგადო საქმეში მთელმა კრებამ გამოიჩინა?

გვონებთ, რომ არა...

ი. წ—ლი.

### ქართული საერო მოქმედა.

#### I. რაფიელ ერისთავი.

სანამ ამ წერილის საგანს შევუდგებოდე, საჭიროთ მიმაჩნია იმის განმარტება, თუ რას ვუწოდებ და როგორ მესმის საერო პოეზია. როდესაც შეადარებთ რ. ერისთავს, ალ. ყაზბეგსა და ვაჟაფშაველას დანარჩენ ჩვენ მწერლებს, მათ შორის, ექვს გარეშეა, მზგავსებას ჰპოვებთ, მაგრამ ამავე დროს განსხვავებაც დიდი და ამ განსხვავების მიხედვით შეგვიძლია, ჩვენი მწერლები ორ ჯგუფათ გავყოთ, მიუხედავათ იმისა, რომანტიული მიმართულების იქნება თუ რეალურის ესა თუ ის მწერალი. აიღეთ მაგალითათ ილ. ჭავჭავაძე და გ. წერეთელი. ორივეს ნაწერებში შეხვდებით გლენს, მაგრამ ილ. ჭავჭავაძისა და გ. წერეთლის გლენებს შორის დიდი განსხვავებაა: მაშინ, როდესაც გ. წერეთლის გლენი ნამდვილი გლენია, ჩვენი სისხლი და ხორცი, ცხოვრებიდან ამოღებული, ილ. ჭავჭავაძის გლენი ავტორის იდეალში განვლილი და გადასხვადებული გლენია, ავტორის ფანტაზიის შვილია და არა ნამდვილი ცხოვრების. მიუხედავათ ასეთი განსხვავებისა, ამ ორ მწერალს შორის ის მზგავსებაა, რომ ერთიცა და მეორეც გვიხატავენ. ამ გლენის მდგომარეობას, იმ სოციალურ პირობებს, რომლებიც მას გარს არტყია, ან წარსულში ერტყა; ერთიცა და მეორეც გლენის სევდასა და გულის ნადებს უმეტეს შემთხვევაში საკუთარი შეხედულების პრიზმით ზომავენ და არა თვით გლენის მსოფლიო შეხედულებით. ასეთ გარემოებას შედეგათ ის უკიდურესობა მოდევს, რომ ილ. ჭავჭავაძის მოთხრობებში ზოგიერთი პირი თავის საკუთარ აზრსა და შეხედულებას კი არ გვატყობიებს, არამედ ავტორისას. აიღეთ ახლა რ. ერისთავი და ალ. ყაზბეგი. ერთიცა და მეორეც გლენსა ხატავს; მათ შორის განსხვავება დიდი, მაგრამ ისინი იმ საერთო თვისებით უახლოვდებიან ერთიმეორეს, რომ უმთავრეს ყურადღებას თვით გლენს აქცევენ, მის ზნე-ჩვეულებას, რწმენა-შეხედულებას,—ერთის სიტყვით, მის ფსიხოლოგიას, სოციალურ პირობებს-კითხვის არავეთარს; გლენის გულის ნადებსა და პირვარამს საკუთარის აზროვნების პრიზმით კი არ უცქერიან, არამედ გლენისავე შეხედულებით ზომავენ. ამ საერთო თვისებითვე განსხვავდებიან ეს უკანასკნელნი ბევრი ჩვენი მწერლებისაგან. ზემოთ მოყვანილი შედარებიდან



აშკარა არის შემდეგი: ა) ერთი წილი ჩვენი მწერლებისა იმდენათ გლახს არ ხატავს, რამდენათაც მის ცხოვრებას, უმთავრეს ყურადღებას სოციალურ პირობებს აქცევს, რომლებშიაც გლახი ტრიალებს. მეორე ნაწილი ჩვენი მწერლებისა უმთავრესათ გლახს ხატავს; სოციალურ პირობებს-კი, რომლებშიაც ეს გლახი ცხოვრობს, ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მაგალითათ, ყაზბეგზე უფრო ძლიერი ნიკისა და ფანტაზიის ბელეტრისტი ჯერ ჩვენს ცხოვრებას არ მოუცია, მაგრამ მისი მოთხრობები გვიხატვენ გულად, შეუპოვარ, ამპარტავანსა და კეთილშობილ მთიულს, მის ბუნებას, ხასიათს, ზე-ჩვეულებას, — ცხოვრების სოციალურ მხარეს-კი ნაკლებათ აქცევს ყურადღებას და, ზოგან და ზოგან თუ ეხებიან, მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ეს ნათელსა ჰფენს მომქმედ პირებს. ბ) პირველი ნაწილი ჩვენი მწერლებისა გლახის სულის მოძრაობის ხატვაში მარტო გლახის შეხედულებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ საკუთარი რწმენა-შეხედულების ელფერს უმატებენ; მეორე ნაწილი-კი მხოლოდ გლახის სულსა და გულს გვიშლის და თავის მხრივ არას უმატებს; თუმცა ასეთი თვისება ალ. ყაზბეგს იმდენათ არ ემჩნევა, როგორც რ. ერისთავს. ამ უკანასკნელი ჯგუფის მწერლებს ვუწოდებ მე საერო პოეტებს და მათს ხელოვნებას—საერო პოეზიას. შეიძლება ასეთი სახელი აღნიშნულ მცნებას რიგიანათ ვერ ხატავდეს, მაგრამ მე უკეთესი ვერ გამოვიხატე. მაშინ, როდესაც პირველი ჯგუფის მწერლები ჩვენში უმეტესობაა, მეორე ჯგუფს ეკუთვნიან მხოლოდ რ. ერისთავი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და მისი ძმა, ბაჩანა.

მე განზრახვა მაქვს, ამ მწერალთა მოღვაწეობას და მნიშვნელობის გამორკვევას ცალკე წერილები ვუძღვნა და, რა დასკვნამდინაც მივალ, ბოლო დაგვანახებ. რ. ერისთავსა და ალ. ყაზბეგს დრამატიული პოეზიის დარგშიაც შეუტანიათ თავ-თავისი წვლილი, მაგრამ ამ წერილებში მათ დრამატიულ ნაწერებს მე არ შევეხები და სხვა ალაგას გავარჩევ.

1453 წელს ბიზანტიის იმპერია დაემხო. ამ გარემოებას ევროპის გონებრივ მოძრაობაზედ დიდი გავლენა ჰქონდა: განათლებულმა ბერძენებმა იწყეს გადმოსახლება ევროპის დასავლეთ სახელმწიფოებში და ამ გვართ ნელ-ნელა გააცნეს ევროპას ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურა. ასეთ თანდათანობით გაცნობას შედეგათ მოჰყვა რენესანსი ანუ ხელოვნებისა და მეცნიერების აყვავება და ის ცრუ კლასიციზმი, რომელსაც დამონებული ჰყავდა ევროპის პოეზია მეცხრამეტე საუკუნემდე. ჩვენს დროს რომ ცრუ კლასიციზმი გამეფებულიყო, არა თუ შეუძლებელია, წარმოუდგენელიც არის; საშუალო საუკუნოების ევროპაში-კი ასეთი მიმართულებისათვის საუცხოვრათ იყო ნიადაგი მომზადებული. საშუალო საუკუნოებში ევროპაში კატოლიციზმის სრული ბატონობაა. კატოლიციზმი ყოველისფერს ღვთის ნებას უქვემდებარებდა და, რადგანაც ქვეყნათ ღვთის მოადგილეთ პაპა მიაჩნდა, ამიტომ კატოლიციზმი ყოველისფერს პაპას უმორჩილებდა; მისი უფლება განუსაზღვრელი იყო; მის წინაშე მეფეებიც კი ძრწოდენ. კატოლიციზმის ბატონობა ნიშნავს ინდივიდუუმის სრულ აუარ-ყოფას, თავისუფალი აზროვნების სრულ დახშობას, გონებრივი წინმსვლელო-

ბის სრულ შეჩერებას. ასეთ პირობებში მყოფი საშუალო ევროპიელი მოკლებული იყო თავისი აზრების თავისუფლათ განვითარებას, თავისი რწმენა-შეხედულების თავისუფლათ გამოთქმას, მეცნიერული კითხვების აშკარათ, უშიშრათ კვლევას, საზოგადო ცხოვრებაში თავისუფალ მოღვაწეობას და ამიტომ მას ერთი გზა-ღა დარჩენოდა: ან ანაფორა ჩაეცვა და დოგმატების მეოხებით დაკმაყოფილებულიყო, ან ყოველისფერი უკუ ეგდო, ცხოვრებისთვის ზურგი ექცია, თავის საკუთარ სულსა და გულს დაბრუნებოდა და იქ ეძია ნუგეში მეტაფიზიკური კითხვების რკვევით. ასეთ საზოგადო ატმოსფერაში მცხოვრებმა ევროპიელმა გაიცნო საბერძნეთისა და რომის შესანიშნავი ხელოვნება და ფილოსოფია; მას თითქოს თვალები აებლია და, რადგანაც გარშემო ცხოვრებაში მისი სულის კვეთებას, მოქმედების წყურვილს არავითარი ნიადაგი არა ჰქონდა, ის მთელი თავისი არსებით ახალ წყაროს დაეწაფა, დაიწყო ხელოვნებისა და ფილოსოფიის შესწავლა და მათი სიდიადით აღტაცებულმა არისტოტელი მიუწოდომელ ავტორიტეტათ დაისახა და ძველი ხელოვნება მისაბად სიშვენიერეთ<sup>1)</sup>. ევროპის მწერლებმა ნელ ნელა მიჰყვეს ხელი მიბაძვას და ასეთმა მიბაძვამ წარმოშობა ცრუკლასიციზმი. რა არის ცრუკლასიციზმი? ცრუ კლასიციზმი არის ავტორიტეტის სრული გაბატონება ხელოვნებაში, ხელოვნების მომწყვდრევა ვიწრო კანონებში, ინდივიდუალურ გრძობათა თავისუფალი გამოხატვისა და აღმაფრენის სრული შეკვეცა, ნამდვილი ცხოვრების უკუგდება, —ერთის სიტყვით, ხელოვნების განვითარების უარ-ყოფა, მისი ერთ წერტილზე გაქვავება და სიკვდილი. საფრანგეთის რევოლიუციამ ლიტერატურის განახლებაც გამოიწვია და ამ საუკუნის პირველ ნახევრის ახალგაზრდა მწერლებმა ვიქტორ ჰიუგოს ბელადობით სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ცრუ კლასიციზმს და კიდევ დაამარცხეს ის. ცრუ კლასიციზმის ნანგრევებზე აყვავდა რომანტიზმი, რომელსაც დიდ ხანს მოუპოვა სრული ბატონობა ჰიუგოს გენიოსობამ. რომანტიზმი, როგორც ცრუ კლასიციზმის წინააღმდეგ ამართული რევოლიუცია, წარმოადგენს ავტორიტეტისა და დოგმატის უარყოფას, სრულ ინდივიდუალიზმს ლიტერატურაში, გრძობათა, აღმაფრენთა და ფანტაზიის სრულ თავისუფლებას, ანარჩიას.

თამარის დროს აყვავებული ქართული პოეზია საშუალო საუკუნოებში თანდათან მიჰქნა, მიიღია და მეცხრამეტე საუკუნეში ხელახლა იწყო გაფურჩქნა. რაც მოეთხოვება ქართულ ნიქს დღევანდელს ჩვენს გონებრივსა და სოციალურ პირობებში, მეცხრამეტე საუკუნე ჩვენი პოეზიის ერთი საუკეთესო ხანაა. ცრუ კლასიციზმს ჩვენში არ უჩენია თავი, რადგანაც ერთის მხრით მისი განვითარების დროს საქართველოში პოეზია სრულებით მიმქრალი იყო და მხოლოდ სასულიერო ლიტერატურა ბეუტავდა; ამას გარდა მაშინდელი საქართველო ევროპას ისე ნაკლებათ იცნობდა, რომ ევროპის ლიტერატურა საქართველოში გავლენას ვერ იქონიებდა. რომანტიზმმა-კი ამ საუკუნეში ჩვენშიც იჩინა თავი და არა თუ საკმა-

1) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ renaissance-ი ჯერ ხსენებაშიც არ იყო, რომ არისტოტელი ევროპის აზროვნებაზე გამეფდა, მაგრამ „აღორძინების“ შემდეგ მის ფილოსოფიას ზედ მეტის ინტერესით დაეწაფენ.

ოთ განვითარდა, ისეთი შასანიშნავი ლირიკოსი-კი მოგვცა, როგორც არის ბარათაშვილი. რომანტიზმი ჩვენში დამოუკიდებლათ აღორძინდა და განვითარდა, ის არ ყოფილა ევროპის რომანტიზმის გავლენის ნაყოფი. ის ჩვენში გამოიწვია ერთის მხრით საქართველოს პოლიტიკურათ სიკვდილმა და მეორეს მხრით მაშინდელი ცხოვრების ფუქსავატობამ და არარობამ. თუ ასეთი ცხოვრების კანონიერ შვილს, ალ. ჭავჭავაძეს, ლოყებისა და წარბ-წამწამების მეტი არა აგონდება-რა, სამაგიეროთ ისეთი ნიჭის პატრონს, როგორც ნ. ბარათაშვილი იყო, რა თქმა უნდა, ასეთი ცხოვრება ვერ დააკმაყოფილებდა, სევდისა და გულ-გატეხილობის მეტს ვერას შეძენდა და ამ გვარათ პოეტის გრძნობასა და აღმფრენათა ნაკადულს სათავეს გაუჩნდა. რ. ერისთავი დაიბადა 1824 წელს; მისმა აზროვნებამ თვალები აახილა და გაიშალა მაშინ, როდესაც ჩვენში რომანტიზმი განვითარებული იყო, როდესაც პოეზიის სათავეში ნ. ბარათაშვილი, გრ. და ვახ. ორბელიანები იდგნენ. თუ ცხოვრებამ გამოიწვია ჩვენში რომანტიული პოეზია, ექვს გარეშეა, ამ მიმართულებას რაფიელიც ვერ უნდა აცდენოდა. ცხოვრებასაც რომ თავი დაეანებოთ, მაშინ ერთათ ერთი პოეზია ჩვენში რომანტიული იყო; რაფიელის ნიჭის მიდრეკილება კიდევ რომ არ ყოფილიყო აქეთვე, ის არ ყოფილა იმდენათ ღრმა ნიჭის პატრონი, რომ დაწყებისათნავე რომანტიზმის გავლენას აცდენოდა და თავისი საკუთარი გზა გაეკვლია. და მართლაც რაფიელ ერისთავმა რომანტიზმით დაიწყო და რეალიზმით დააბოლოა, როგორც ბ-ნი კიტა აბაშიძე სწერს<sup>2)</sup>.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

### შვიდობის გასწორება

„**ცვალის**“ უკანასკნელ № 19-ის წერილში „გურიის მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ“ დასტამბულია: „ამ მხრით გურიის ამხანაგობა „შუამავალი“ დარჩება მოგებაში“. უნდა იყოს: „ამ მხრით არც გურიის ამხანაგობა „შუამავალი“ დარჩება მოსაგებში“.

<sup>2)</sup> „მოამბე“ 1900 წ. № VII.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

## გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი .

### თფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მ. ვედევანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.  
ღ ი ლ ი თ :

- გ. ა. ჭაჭანაძე—კბილის სნეულბანი, 8—10 საათ.
- მხედავ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.
- ნ. ა. მუღანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა, 11—12.
- ა. შ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულბანი, 10—12.
- ა. ნ. შავლაფია—თვალისა, 11—12 საათ.

- ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა, 11—12 საათ.
  - დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1.
  - გ. ლ. მარკვეიანი—საქირურგო, 12<sup>1</sup>/<sub>2</sub>—1<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათ.
- სამშობათობით 3—4.

- ე. გ. ფედორავი—შინაგანი და ბავშვებისა, 1—2.
- ა. დ. ბუგთაბუგავი—სიფილისისა, კანისა და საშარ-დესი—1<sup>1</sup>/<sub>2</sub>—2 საათ.

#### ს ა ლ ა მ ო თ ი :

- ა. ნ. თუმანიშვილი—ღელათა სნეულბანი, 5—6.
- ა. ა. ბუღავაძე—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევიანი, 5—6 საათ.

#### კ ვ ი რ ა ო ბ ი თ :

- გ. გ. მადლაშვილი—შინაგან ავადმყოფ., 10—12.
- სამკურნალს აქვს სწავლი ოთხსუბი. ფასი რჩევა-დარიგების 50 კ., რჩევა-დარიგებები—მარტვიტით. კრატტი 4 მ. დღე დასმეში. ერთი კრატტი დარბთათვის უფასოა.

**მ**ომავალ გამოფენაზე **ბეჭდვითი საქმის კავილი** მისი მომწეობი კომისია იწვევს მათ, რომელთაც ჭსურთ გამოფენის ნაწარმობები სსენებულს ჰავილიონში, 20 მაისამდე გამოაცხადონ თავისი სურვილი და ამასთანავე აღნიშნონ რამდენი ოთხ-კუთხი ან შინი დასტირდებთ ექსპონატებისთვის. ფასი ოთხ-კუთხი ან შინისა 5 მ.—თუმანდე (ცენტრალურს დაბაში). განცხადებასთან ერთად უნდა წარმადგენილ იქნეს ბეჭდვითი უფკელ ოთხ-კუთხ ან შინში. ექსპონატებთ შეუძლიათ იყვენ კავასიის ა) ზერიდელი გამოცემანი, ბ) წიგნების მადლაშიები და გამოცემლები, გ) სტამბები, ლიტოგრაფები, ფოტოგრაფები და სხვა ამ გვარ დაწესებულებანი, რომელთაც კავშირი აქვთ ბეჭდვით საქმესთან.

განცხადებანი უნდა გამოიგზავნონ ტფილისში კომისიის მდივნის ი. შ. დოღუხანოვის სახელზე (განოვის ქ., № 17). შინისშირ მოღაანარაკება მდივანთან შეიძლება ყოველ-დღე, სადამონ 5 სათიდან 6-მდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. ტელეფონის № 678. ბეჭდვითი საქმის ჰავილიონში იქნება უფასო სამკითხველო და ჰრესის წარმომადგენელთათვის სამუშაო ოთახი. (3—2)

## თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქ. თფილისში, თანახმად კავასიის მთავარ-მართეილის მიერ დამტკიცებულ დებულობისა, ცხენის ბაზრობის შესახებ, ხუთ ამა მაისის თვიდან გაიმართება **ცხენის ბაზრობა**, რომელიც გაგრძელდება 19 მაისამდე. აღნიშნულ ცხენის ბაზრობისათვის ადგილი დანიშნულია დიდუბეში კავასიის ცხენის მოშენების წამქეზებელ საზოგადოების მოედანზე.

(3—2)

## თფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის ქუჩებში ჩარგული ხეები შეადგენენ ქალაქის საკუთრებას და არა სახლის პატრონისას. (3—3)